# ლელო

№ 101
(11 250)

22 – 24 დეკემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ოთხშაბათს სეოკ-ის სესია გაიმართება

საქართველო

GEORGIA

ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია. დასაწყისი 12 საათზე.

დაპირისპირება

## არც რინგზე და არც რინგს მიღმა საქართველოში არავის არაფერი აქვს გასაყოფი

### კახი ასათიანმა ქართული კრივის მესვეურებს ზურაბ ფალიანს, გიორგი კანდელაკს და მალხაზ მამამთავრიშვილს ინტერესების გაერთიანებისკენ მოუწოდა

თუკი სპორტის რომელიმე სახეობის წარმომადგენლებმა წლეულს და მანამდეც თავი გამოიჩინეს, ეს მოკრივეებზეც ითქმის. რადგან ყველაფერი შედარებითია, ღრმად რომ გაანალიზდეს, კრივმა შეიძლება ბოლო წლებში პირველობა არავის დაუთმოს, როგორც მასობრიობით, ისე შეჯიბრებების ჩატარების სიუხვით და, რაც მთავარია, საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული წარმატებებით. ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მეტი რაღა უნდა მოსთხოვო ფედერაციას, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა დაპირისპირება საქართველოსა და თბილისის ფედერაციებს შორის, ძალაუნებურად ეჭვი გიჩნდება — თანხმობა რომ ყოფილიყო, იქნებ მეტისთვისაც მიგვეღწია. და ეს ეჭვი ალბათ უსაფუძვლო სულაც არ არის — თბილისი ხომ ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების ცენტრიცაა.

ახლა ალბათ არ ღირს იმის გამოკვლევა და გამომზეურება თუ როდის და რამ გამოიწვია განხეთქილება, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ საქართველოში, როგორც დაპირისპირებულთა კლასიკურ ქვეყანაში, სპორტშიც, თანაც ისეთ ვაჟკაცურ სახეობაში, როგორიც კრივია, გაჩენილა ბზარი.

გასულ პარასკევს, როცა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს კრივის ფედერაციის ანგარიშსაც ისმენდნენ, მიღწევებით გამოწვეულ სიამაყეს ჩრდილი სწორედ იმ დაპირისპირების გამოძახილმა მიაყენა. საბჭოს სხდომა ნამდვილად არ იყო ის ადგილი, სადაც ეს პრობლემა უნდა გარჩეულიყო, ბოლოს და ბოლოს საკითხი ამ კუთხით არც ყოფილა წარმოდგენილი დღის წესრიგში, მაგრამ, რაკი გამჟღავნდა ურთიერთპრეტენზიები, საბჭო გულგრილი ვერ დარჩებოდა. დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ორივე მხარეს მოუწოდა თანამშრომლობისაკენ: „არ არსებობს ურთიერთობებში გადაუჭრელი პრობლემა, მთავარია, ორივე მხარემ მოინდომოთ და გაუგოთ ერთმანეთს, თქვენი ერთად ყოფნა საერთო საქმეს წაადგება სასიკეთოდ, აუცილებლად უნდა გაერთიანდეთ საერთო მიზნისთვის" — მოუწოდა მან დაპირისპირებულ მხარეებს და იქვე პირდაპირ სთხოვა საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტს ზურაბ ფალიანს, ვიცე პრეზიდენტს, მსოფლიო ჩემპიონს გიორგი კანდელაკს და თბილისის ფედერაციის თავმჯდომარეს, წარსულში ცნობილ მოკრივეს მალხაზ მამამთავრიშვილს კაცურად, მეგობრულად დასხდნენ ერთ მაგიდასთან, და ურიგო არც ის იქნება თუ შერიგების მამაპაპურ წესს არ დავივიწყებთ და იმ მაგიდაზე პურმარილიც იქნება გაშლილი.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც რა აქვთ რინგზე თუ მის მიღმა გასაყოფი ქართული კრივის მესვეურებს. ვფიქრობთ, არაფერი, ერთიანი ძალით მოპოვებული წარმატებების გარდა, განა ეს უფრო არ დაამშვენებს მათ სახელებს და ავტორიტეტს?

მიმომხილველი

## სიდნეისთვის ზრუნვაში პარლამენტარებიც ჩაერთვებიან

SYDNEY 2000

მომავალი ოლიმპიური თამაშები, როგორც იცით, სიდნეიში გაიმართება 2000 წელს. ამ საუკუნის ბოლო თამაშებისათვის სამზადისს, ცხადია, ქვეყნები და მათი რჩეული სპორტსმენები უკვე ატლანტის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე შეუდგნენ. თუმცა, ჩვენი ათლეტები და სპორტის მესვეურები ათას პრობლემას აწყდებიან სიდნეისკენ მიმავალ გზაზე. კარგია, რომ „სიდნეი-2000" ახლა ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ყურადღების ცენტრშიც მოექცა. დღეს პარლამენტის ხელმძღვანელთა და დეპუტატთა ერთი ჯგუფი სეოკ-ის შტაბბინას ეწვევა, სტუმრები დაათვალიერებენ ოლიმპიურ მუზეუმს, რის შემდეგ გაიმართება დიალოგი „სიდნეი-2000"-ის თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით

საქართველოში სპორტის განვითარებისათვის, ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს პროფესიული კავშირების სპორტული საზოგადოება „შევარდენის" სპორტსმენები და სპორტის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

***ავთანდილ გუნია*** — ველოსპორტის რესპუბლიკური სპორტსკოლის დირექტორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ველოსპორტში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

**ღირსების მედლით:**

***იოსებ (იროდი) ბექაშვილი*** — რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი; ***ელენე გასანოვა*** — წყალთა სახეობების თბილისის სპორტული სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ***როინ დობორჯგინიძე*** — ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი, ჭიდაობაში მსოფლიო თასის მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***ალიკო კაპანაძე*** — რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ***ვალენტინა კლიმოვა*** — მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის რესპუბლიკური სპორტული სკოლის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ***ჯემალ მანელიშვილი*** — ქობულეთის რაიონის სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ***ომარ მერაბიშვილი*** — ქუთაისის ჭიდაობის სპორტული სკოლის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***ნუგზარ სხირელი*** — გორის სპორტული სკოლის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***გურამ ფარულავა*** — ძალოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის თბილისის „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ***ოთარ გეგეჭკორი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## ფედერაციების რჩეულნი

### საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ 1998 წლის შედეგების მიხედვით დაასახელა წლის საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და მსაჯები







თავისუფალ ჭიდაობაში სპორტსმენთა საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

**1. ელდარ კურტანიძე, 2. დავით პოღოსიანი, 3. ემზარ ბედინეიშვილი, 4. ალექსანდრე მოდებაძე, 5. დავით ლეჟავა, 6. ოთარ თუშიშვილი, 7. მიხეილ ტურაშვილი, 8. თამაზ გეგეშიძე, 9. მამუკა არუთინიანი, 10. შოთა ბოლოშვილი.**

საუკეთესო მწვრთნელები თავისუფალ ჭიდაობაში:

**1. ზაზა თურმანიძე, 2. ნუგზარ სხიერელი, 3. მარლენ ოსეყმაშვილი.**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საუკეთესო ათეული:

**1. ხვიჩა ბიჩინაშვილი, 2. მირიან გიორგაძე, 3. ტარიელ მელელაშვილი, 4. გიორგი ჯინჭველაშვილი, 5. გელა ხაჩიძე, 6. გენადი ჩხაიძე, 7. ბადრი ხასაია, 8. ლევან ოდიშარია, 9. ირაკლი ჭოჭუა, 10. ეს ადგილი თანაბარი ქულებით ხვდათ ივანე ჩუბინიძეს, გიორგი რურუას და ილია ლეჟავას (სამივე მათგანს ერთნაირი მაჩვენებელი აღმოაჩნდა).**

ფედერაციის საუკეთესო მსაჯები:

**1. თემურ ყაზარაშვილი, 2. ჯუმბერ დავლიანიძე, 3. სოსო სარაული.**

სურათებზე (ზემოდან): ელდარ კურტანიძე, ხვიჩა ბიჩინაშვილი და ზაზა თურმანიძე.

## დეპარტამენტის საბჭოს სხდომა

იწურება სპორტული წელიწადი. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეაჯამა წლის შედეგები და ამ საკითხს მიუძღვნა დეპარტამენტის საბჭოს სხდომა, რომლის დაწყების წინ დეპარტამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტისა და მთავრობის დავალებით სახელმწიფო ორდენები და მედლები, ქვეყნის პრეზიდენტის მადლობები, დეპარტამენტის საპატიო სიგელები და მინიჭებული წოდებების მოწმობები გადასცა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს, მათ შორის ოთარ ქორქიას, რობერტ შავლაყაძეს, ნადეჟდა დვალიშვილს, ოთარ დიდებულიძეს, ლერი გოგოლაძეს და სხვებს.

მძიმე ფინანსური პირობების მიუხედავად, წლეულს, საერთაშორისო სარბიელზე, სადღეისოდ, მოპოვებულია 162 მედალი, რაც 24 მედლით აღემატება შარშანდელს. წლეულს ოლიმპიური სახეობების წილად მოდის 60 მედალი, აქედან 13 — ოქროსია, 20 — ვერცხლისა და 27 — ბრინჯაოსი. არაოლიმპიურ სახეობებში მოპოვებული 102 მედლიდან 37 — ოქროსია, 26 — ვერცხლისა და 38 — ბრინჯაოსი.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს კრივის და ჭიდაობის ფედერაციების მუშაობის შედეგები, კალათბურთის საკითხი ფედერაციის ხელმძღვანელების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

დეპარტამენტის პრესსამსახური

## რუმინელები უპირონი გამოდგნენ...

1996 წლის აპრილში, როცა ფორსირებულად ემზადებოდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისათვის, რუმინელებმა გვთხოვეს ამხანაგური მატჩის გასამართავად გვეწვიეთ და „ვალს" ორი წლის შემდეგ გადაგიხდითო. როცა დათქმული ვადა ამოიწურა და რუმინელებს ვალი შევახსენეთ, ეტყობა, ფედერაციის პრეზიდენტს მირჩა სანდუსი ნამუსმა შეაწუხა და სფფ-ს ფაქსით აცნობა — 10 მარტს გეწვევითო! ახლა კი ფედერაციაში ახალი ფაქსი მიიღეს — თბილისში ვერ ჩამოვალთ, ეგებ თქვენ გვეახლოთო. თუ რა პასუხს მოამზადებენ ჩვენები ჯერ უცნობია.



ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში 25 დეკემბრიდან 1999 წლის 9 იანვარმდე სკოლიოზიანი ბავშვებისათვის ატარებს უფასო კონსულტაციებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 15 საათამდე.

*მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 49. III სართ.*

## *კახეთის მხარეში დაინიშნა სპორტის კოორდინატორი*

*კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის გ. არსენიშვილისა და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ურთიერთშეთანხმებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მართვის კოორდინატორის ფუნქცია კახეთის მხარეში დაეკისრა თელავის სპორტთამაშების სპორტსკოლის დირექტორს დავით ქეშიკაშვილს. სპორტის დეპარტამენტის საბჭომ წარდგენილი კანდიდატურა ოფიციალურად დაამტკიცა.*

## *დეპარტამენტის საბჭომ დაამტკიცა*

***გოგი თავდიშვილი*** *— ქვემო ქართლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რეგიონული სამმართველოს უფროსად.*

***გიორგი სვიმონიშვილი*** *— თელავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.*

## ქართველთა აუქციონზე დიდი ცვლილებებია, ტრანსფერები „იჩარხება", მაგრამ ბოლომდე არც ერთი არაა მიყვანილი

თემურ ქეცბაიათი დავიწყებთ. გახსოვთ, ალბათ, სანამ „ნიუკასლში" გადავიდოდა, ქართველი ნახევარმცველი დიდი წარმატებით გამოდიოდა საბერძნეთის აეკ-ში. ბერძენი გულშემატკივრების კერპმა შარშანწინ ათენურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და თავისი ბედი პრემიერლიგას დაუკავშირა. პირდაპირ ვიტყვით, იგი ინგლისურ ფეხბურთს ვერ მოერგო და ხშირად გუნდის მატჩებს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. ასე იყო „ნიუკასლის" წინანდელი მწვრთნელის კენი დალგლიშის, ასეა ახლაც ჰოლანდიელი რუუდ გულიტის დროსაც. ამიტომაა, ქეცბაიამ გული აიყარა გუნდზე და მენეჯერს ახლის მოძებნა დაავალა. იტყობინებიან, რომ ბოლო ხანს ბერძნულ პრესაში აქა-იქ გაჩნდა ცნობები, ქართველი ნახევარმცველი ისევ აეკ-ში ბრუნდება.



სიახლეებია ბელგიის „მეჰელენში" მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა შორისაც. ამას წინათ შეგატყობინეთ, რომ იქაურ ქართულ „ტრიოს" გიორგი კიკნაძეს, ლევან ცქიტიშვილს და ლევან ხომერიკს, ალბათ, მალე გივი დიდავა და ვალტერ გუჩუაც შეუერთდებიან. ეს ტრანსფერები ჯერჯერობით სათანადოდ გაფორმებული არ არის, სამაგიეროდ, დასასრულს მიუახლოვდა ფორვარდ დავით ჩალაძის საკითხი — ეს ფეხბურთელი ვლადი-

იხ. მე-5 გვ.

თბილისის „იბერია", ლანჩხუთის „გურია", თბილისის „შევარდენი-1906", „სამტრედია", თბილისის „დინამო", ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი", რომელი კლუბი იქნება შემდეგი კახი გოგიჩაიშვილისათვის?

# მაისურაძეებზე, სწორედით!..

საქართველოს აბსოლუტური ფალავნობაც ერთ დიდ რელიგიურ დღესასწაულს — წმინდა ნიკოლოზობას დაემთხვა — გასულ შაბათს, დღის 12 საათზე ახლახან შექმნილმა მაისურაძეთა საგვარეულო კავშირმა, რომელსაც სამოქმედო პროგრამაში დასახული აქვს ჩვენში ხელოვნებისა და სპორტის განვითარებასაც ხელი შეუწყოს, დიღმის ჭიდაობის სპორტული სკოლის არენაზე ქვეყნის 32 გამორჩეულ მოჭიდავეს უხმო ფალავნობაზე.


ალექსი დავითაშვილი

ასპარეზობას ინტრიგას ჰმატებდა ის, რომ უძლიერესის სახელის მაძიებელთა შორის იყვნენ წინა წლების ფალავნები: კასპელი ვანო გამხიტაშვილი, ახმეტელი ალექსანდრე დავითაშვილი, თელაველი გიორგი წმინდაშვილი, მათ ამ წოდებას ეცილებოდნენ ხალიჩისა და ტატამის გამოცდილი ოსტატები, მათ შორის ცნობილი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში გიო გუგავა, რამაზ ჩოჩიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი სამბისტი ბიბილაშვილი, ახალგაზრდული ოლიმპადის ვერცხლის პრიზიორი ზურაბ ზვიადაური... ერთი სიტყვით, ფალავნობას წარმომადგენლობას ვერ დაუწუნებდა კაცი, ვინაიდან ასეთი სახელები ამშვენებდა მას, რამაც თვით ორთაბრძოლების მაღალი დონე განსაზღვრა — მაყურებელმა სარბიელზე ცეცხლოვანი ქართულის მთელი „არსენალი" იხილა, უბრალო სარმით დაწყებული მოხდენილი კისრულითა და მოგვერდებით დამთავრებული. ჭიდაობა ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა (წაგებული ეთიშებოდა პირველობას) და რაც უფრო ვიწროვდებოდა „წრე", მატულობდა დაძაბულობა და ინტერესი, აი „ფინიშის სწორზე" — მეოთხედფინალიდან მართლაც ღირსეულნი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ.

აქ ნათლად გამოჩნდა სპორტის დაუწერელი კანონი, წარსულის დამსახურებით რომ ვერაფერს გახდები თუ დღეს, კონკრეტულ მომენტში ბრძოლისათვის სათანადო მზადება, ან განწყობა გაკლია. ჯერ გუგუავამ უპრობლემოდ ჩამოიცილა გზიდან ზვიადაური, შემდეგ დავითაშვილმა ბიბილაშვილი, ჩოჩიშვილმა ქარელელი ზაზა კაპანაძე. აი წმინდაშვილ-გამხიტაშვილის წყვილი კი ყველაზე საინტერესო გამოდგა. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ 1994 წლის ფალავანმა გამხიტაშვილმა გამარჯვების ბევრ პრეტენდენტს წაუხდინა გუნება და სერიოზულად აცხადებდა, ისევ ის ფალავანი ვარო. მან ამ შეხვედრის პირველი ნახევარიც თავის სასარგებლოდ „გადაწონა" და ორი ქულით დაწინაურდა კიდეც და მაყურებელიც სენსაციას ელოდა, მაგრამ წმინდაშვილის მზაკვრულმა სარმამ თავისი ჰქნა და ამ მოხდენილი ილეთებით გამარჯვება მას დარჩა — 4:2.

ნახევარფინალში გუგავა და წმინდაშვილი შესაბამისად დავითაშვილმა და ჩოჩიშვილმა გამოთიშეს ფალავნობის მაძიებელთა რიგებიდან და თავად დადგნენ გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ. მანამდე გუგავასა და წმინდაშვილს უნდა ერთმანეთში გაეთამაშებინათ მესამე ადგილი, იგი უბრძოლველად წმინდაშვილს დარჩა — მეტოქეს ტრავმის გამო აღარ უჭიდავია.

ალექსი დავითაშვილმა ფინალი უპირატესობით წარმართა და შარშან დაკარგული აბსოლუტურ პირველობას კვლავ დაეუფლა. მას გადაეცა წარსულში ლეგენდარული ფალავნის სანდრო კანდელაკის პრიზი. ჩოჩიშვილს კოსტა მაისურაძის პრიზი ერგო. ნესტორ ესებუას სპეციალური პრიზი, რომელიც თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისათვის დააწესა, ჩოჩიშვილს მიეკუთვნა, მან სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, წმინდაშვილს ხვდა არსენ მეკოკიშვილის პრიზი. მაისურაძეებმა სხვა ფალავნებიც არ დატოვეს გულნაკლულნი.

**უშანგ ჭიჭინაძე**

## თაოსნობა

# ეროვნული გვარდია 8 წლისაა

20 დეკემბერს საქართველოში ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებიდან 8 წელი შესრულდა. ახალშექმნილ სამხედრო უწყებას იმთავითვე დაუდგა გამოცდის მძიმე წლები. ჯანსაღმა ეროვნულმა ძალებმა თავის მშობლიურ გვარდიასთან ერთად გაიარა წრთობის ქურა. იმ გვარდიელთა პირველი თაობის რიგებში მაშინ ბევრი სპორტსმენი გაერთიანდა. თბილისელი ცხენოსნები კი მთელი შემადგენლობით ჩადგნენ ერის სამსახურში და ეროვნული გვარდიის საცხენოსნო ესკადრონი შექმნეს დედაქალაქის იპოდრომზე. ესკადრონის გვარდიელები სამშობლოს ერთიანობისთვის იბრძოდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

„ლელოს" რედაქცია ეროვნული გვარდიის დაარსებიდან 8 წლისთავს ულოცავს ყველა თაობის გვარდიელს და სარდლობას.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

# ფეხბურთს ქალები ბათუმშიც თამაშობენ

დიდი ინტერესი გამოიწვია ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის სპორტულ დარბაზში გამართულმა აჭარის პირველობამ მინიფეხბურთში ქალთა შორის ხელვაჩაურის, ქობულეთის, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მონაწილეობით.

ფინალში თამაშის უფლება „კოლეჯისა" და „შევარდენის" ფეხბურთელებმა მოიპოვეს და ეს დაძაბული პაექრობა მომავალი პედაგოგების გამარჯვებით დასრულდა — 4-2. ისინი პირველად გახდნენ აჭარის ჩემპიონები.

ბათუმელ ქალბატონებს განზრახული აქვთ მომავალში საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზონ, სავარაუდოდ თურქეთში.

ოთარ მურვანიძე, „ლელოს" კორ., ბათუმი

# ტურნირი მარტყოფში

როგორც ძიუდოს ფედერაციიდან გვაცნობეს, ამ დღეებში სოფ. მარტყოფში, რომელიც ოდითგანვე ცნობილია სახელოვანი ფალავნებით, პირველად გაიმართა ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირი, რომელშიაც საასპარეზოდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან, ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოიყვანეს 14-14 წლის მოზარდები. სულ კი 127 მონაწილე შეიკრიბა.

**გამარჯვებულები.** *1983 წ. დაბადებულთა შორის:* მარტყოფელები — გ. ტაბლიაშვილი (60 კგ), გ. მანაგაძე (66), ნ. ოთარაშვილი (73), თბილისელები — ზ. ნიგურიანი (42), მ. ხომერიკი (50, „შევარდენი"), ა. ცინცაძე (55, „ლოკომოტივი"), მ. დვალი (81, „შევარდენი"), გ. კურახაშვილი (+81, ოლიმპიური სპორტსკოლა). *1984 წლებში დაბადებულთა შორის* ყველაზე მეტი გამარჯვებული ჰყავს საქართველოს სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელს (დირექტორი მ. მეტრეველი). ესენია: დ. ასუნბანი (35), გ. ასპანაძე (50), დ. შეშაბერიძე (60), გ. გავაშელიშვილი (66), საგარეჯოდან — გ. თამლიანი (38), მარტყოფიდან — მ. მათიაშვილი (45), თბილისიდან — გ. შოშიაშვილი (32, „შევარდენი"), ო. მისტოიანი (35. „მართვე"), ი. ასანაშვილი (+66 ოლიმპ. რეზ. სპორტსკოლა).

# „XX საუკუნის სპორტული საქართველო"

ძვირფასო მკითხველო! „ლელოს" რედაქციამ გადაწყვიტა შეადგინოს წიგნი „XX საუკუნის სპორტული საქართველო", რომელშიაც მთელი 100 წლის განმავლობაში მიღწეულ სპორტულ შედეგებთან ერთად, შევა აგრეთვე საქართველოში სპორტის განვითარების ორგანიზაციული საკითხები, იმ ადამიანების ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ამ სფეროში სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ ან მოღვაწეობდნენ (მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობას და თანამდებობას).

შევსებული ანკეტა უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ რედაქციაში ან ჩაბარდეს სპორტის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამმართველოში (სასურველია დაურთოთ ფოტო).

სახელი, გვარი ______________________

დაბ. წელი, რიცხვი ______________________

მოკლე ცნობები თქვენს მოღვაწეობაზე ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თარიღი: __________ ხელმოწერა: ______________________

შენიშვნა: გარდაცვლილ პიროვნებებზე გამომგზავნი ანკეტაში დაბადების წელთან ერთად დეფიზით მიუთითებს გარდაცვალების წელს.
მონაცემები უფრო ვრცლად შეიძლება წერილობით დაერთოს ანკეტას.

## დებიუტანტი



### ნოდარ მიქელაძე

ჭადრაკი

დაიბადა 1989 წელს ქობულეთში. ქობულეთის №3 სკოლის III კლასის მოსწავლეა.
ჭადრაკს თამაშობს 1995 წლიდან. მწვრთნელი ამირან ბერძენიშვილი. ზურაბ აზმაიფარაშვილისა და ნანა იოსელიანის სახელობის ქობულეთის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია. 10 წლამდე ჭაბუკებში აჭარის მესამე პრიზიორი.
საჭადრაკო ფესტივალ „ივერია-97" და „ივერია-98" მესამე ადგილები.

## სპორტი დევნილობაში

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტი ქართული სპორტის ჰერკულესის სვეტად რჩება

*აფხაზეთს დიდი სპორტული ტრადიციები აქვს. აფხაზეთის სპორტსმენებმა საქართველოს სპორტის დიდების, მისი საერთაშორისო აღიარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. საქართველოს სპორტის ოქროს ფონდშია შესული ფეხბურთელები ა. დოლობერიძე, ვ. სანაია, ა. ტყებუჩავა, ვ. მარდანია, ნ. ძიაპშიპა, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, ვ. დარასელია, „სროლის მაესტროდ" წოდებული კ. დარასელია, ლეგენდარული მძლეოსანი ვიქტორ სანეევი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ს. გუნბა, საქვეყნოდ ცნობილი ცხენოსანი ხ. სიმონია, მოცურავე ბ. ნიკიტინი. კალათბურთელები: ი. ძიძიგური, ვ. ჯგერენაია, ზ. სულავა, გ. კილასონია, ტყვიის მსროლელი მ. პაპავა, ძიუდოისტი ვ. დგებუაძე, თავისუფალი სტილით მოჭიდავე რ. ხუტაბა, ძალოსანი ტარკილი, ტანმოვარჯიშე ვ. ჯაიანი, წყალში მხტომელი მ. ჩაჩბა და მრავალი სხვა, საქართველოს და ყოფილი სსრკ ნაკრები გუნდების წევრები, რომლებიც დიდი შემართებით იცავდნენ საქართველოს სპორტულ ღირსებას ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს და ევროპის სარბიელზე, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ეს ყველაფერი იყო, დღეს კი!*

აფხაზეთიდან დევნილმა სპორტულმა ორგანიზაციამ, — სპორტის დეპარტამენტმა, ფუნქციონირება დაიწყო ქ. თბილისში 1993 წლის 20 ოქტომბრიდან, რომელსაც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის შენობაში გამოუყო ოფისი და მუშაობის ყოველგვარი პირობა შეუქმნა. შეიქმნა დევნილ სპორტსმენთა და სპორტულ მუშაკთა დახმარების კომისია. აღირიცხა 400-მდე სპორტსმენი, სპორტის მუშაკი და სპორტის ვეტერანი, 27 სპეციალისტი დაკმაყოფილდა სამუშაო ადგილით, 25 სპორტსმენი ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ზოგიერთს მიეცა საცხოვრებელი, ნაწილზე გაიცა დახმარება.

დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც. 49 დევნილ სპორტსმენსა და სპორტის მუშაკს გამოეყო 5000 ამერიკული დოლარი.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს სპორტული ფედერაციებისა და სხვა არასპორტული ორგანიზაციების თანადგომა. მათ აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის სპეცანგარიშზე ჩარიცხეს თანხები. რომლის მიზნობრივ ხარჯვას სპეციალური კომისია ანხორციელებდა. დახმარება მიეცა 79 ოჯახს.

აფხაზეთის სპორტული ცხოვრება დევნილებშიც არ წყდება. ჯგუფები მუშაობს კალათბურთში (მწვრთნელი ვ. კვარაცხელია), თავისუფალ ჭიდაობაში (ა. მაისურაძე), კრივში (ე. სილაგაძე), ჭადრაკში (ნ. გელენავა), კარატეში (თ. ჯახაია, კ. კაკაბაძე), ფარიკაობაში (რ. ჯოლოგუა).

ჩვენი სპორტის ლიდერად კვლავ რჩება საქართველოს ნაკრების წევრი თავისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძე, რომელსაც შეძლებისდაგვარად არ ვაკლებთ ყურადღებას. იგივე ითქმის მოჭიდავეებზე დ. ხურციაზე და გ. ხარებავაზე, მოჭადრაკე რ. გოლეთიანზე და სხვ.

1995-98 წლებში აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ. მოჭადრაკე რ. გოლეთიანმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა 14-16 და 18 წლამდე გოგონებს შორის, ელდარ კურტანიძე გახდა ევროპის ვერცხლის პრიზიორი, ატლანტაში, ოლიმპიურ თამაშებში კი მესამე იყო. ევროპის ორგზის ჩემპიონმა მოიგო ყველა საერთაშორისო ტურნირი, მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაო ხვდა. გია ხარებავამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენის სახელი მოიპოვეს ძმებმა-გოლიათებმა ამირან და ტარიელ ბიწაძეებმა. ტარიელი მსოფლიოს ჩემპიონია კარატეს ერთ-ერთ სახეობაში — რიგსში. 1998 წ. გიორგი რურუა მსოფლიო ახალგაზრდების თამაშების მესამე პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის. 1998 წ. სოხუმის კალათბურთელთა მეორე გუნდი საქართველოს ჩემპიონია. აფხაზეთის სპორტსმენთა მიერ საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებში მოპოვებულია 10-ზე მეტი, საერთაშორისო ტურნირებში კი 13 საპრიზო ადგილი. ატლანტაში, ოლიმპიურ თამაშებში აფხაზეთიდან 2 სპორტსმენი ასპარეზობდა.

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტმა უკანასკნელ 3 წელიწადში 22 სპორტული ღონისძიება ჩაატარა. მათ შორის ღია პირველობები მინიფეხბურთში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ნოკდაუნ-კიოკუშინ კარატეში, გ. ნორაკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში, აფხაზეთის ომში დაღუპულ ი. ძიძიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების თ. ჭედიას და ბ. კიუტის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მძლეოსნობაში და სხვა.

ლტოლვილთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში წყნეთსა და თბილისის ზღვაზე, სასტუმრო „ამირანსა" და ვაჭრობის სამინისტროს საერთო საცხოვრებელში, ტრადიციულად ტარდება მასობრივი შეჯიბრებები ნარდში, ჭადრაკში, შაშსა და სიმძიმის აწევაში, სადაც საშუალოდ 1200 მეტი ლტოლვილი მონაწილეობს, მათ შორის მოზარდები.

ლტოლვილებს ადგილებზე დიდ დახმარებას უწევენ სპორტული ორგანიზაციები — აჭარის (თ. ბოლქვაძე), ქუთაისის (თ. კენჭაძე) ფოთის (ო. ხომერიკი), მცხეთის (ვ. გრძელიშვილი), რუსთავის (კ. თავდიშვილი), იმერეთის სამხარეო ოლიმპიური კომიტეტი (რ. რობაქიძე), ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლებში კი ათეული ლტოლვილი პერსპექტიული სპორტსმენი სწავლობს და მეცადინეობს. ცხადია, თანადგომას არც სპორტული ფედერაციები აკლებენ ლტოლვილებს. თუმცა, პრობლემები საერთოა — უსახსრობით ხშირად ვერ მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ინვენტარის ნაკლებობა, სპორტულ ბაზებზე არანორმალური პირობები და ა.შ. ცნობილია, რომ აფხაზეთის კალათბურთის გუნდი „კოლხა" თამაშობს ქვეყნის უმაღლეს ლიგაში. მისი შენახვა რამდენიმე ათასი ლარი ჯდება. უსახსრობის გამო დაიშალა აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდი „ცხუმი", რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშობდა საქართველოს პირველობაზე. მეორე ჯგუფში გამოდის გაგრის „დინამო". საქართველოს ნაკრებ გუნდებში ირიცხებიან ცხენოსნები: ი. ნარმანია, ც. ლაბაშია, ი. ფაცაცია, ი. შენგელია, ო. ბულისკირია; ჭიდაობაში: ე. კურტანიძე, დ. ხურცია, გ. რურუა, გ. ხარებავა, გ. ბერიძე, დ. ირემაძე, დ. კეკელია; მძლეოსნობაში: გ. ბებია, დ. ჩხაპელია; ჭადრაკში: რ. გოლეთიანი, მოკრივე ზ. ხარაზია და სხვები. თავდაუზოგავად მუშაობენ მწვრთნელები ა. შენგელია, ა. მაისურაძე, ნ. გელენავა, ა.ცომაია, რ. ჯოლოგუა, გამოცდილი მწვრთნელები ვ. კვარაცხელია, კ. კაკაბაძე, ო. გახარია, გ. ესებუა, ვ. ბენდელიანი, ო. ნარმანია, მ. ლაბაშია და სხვები.

მისასალმებელია აფხაზეთის განათლების სამინისტროს ძალისხმევა, რომელმაც აღადგინა ერთი კომპლექსური სპორტული სკოლა 10 საშტატო ერთეულით (ადრე აფხაზეთში 20 სპორტული სკოლა იყო). განათლების სამინისტროს გათვალისწინებული აქვს გახსნას ახალი ჯგუფები აფხაზეთისათვის ტრადიციულ სპორტის სახეობებში: ტანვარჯიშში, ცურვაში, ველოსპორტში...

სამწუხაროდ, აფხაზეთის 20-ზე მეტი ფედერაციიდან ჯერჯერობით მხოლოდ ჭადრაკისა და ფეხბურთის ფედერაცია აღდგა. დანარჩენი ფედერაციების აღდგენა ახალი წლიდანაა ნავარაუდევი.

გრძელდება კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების ტრადიცია. სოხუმის უნივერსიტეტში შენარჩუნებულია ფიზიკური აღზრდის სპეციალობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის მთავარი მიმართულება ლტოლვილთა ჯანმრთელობის რეაბილიტაცია, ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი მომზადება, პერსპექტიული სპორტსმენების ძიება და მათი დაოსტატება საქართველოს და საერთაშორისო სპორტულ არენაზე წარმატებით ასპარეზობაა.

დიახ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტი დევნილებშიც დასამშობლოს სპორტის მძლავრ შენაკადად რჩება თავისი სპეციალური ეროვნული და, თუ გნებავთ, პოლიტიკური ფუნქციით.

**ოთარ ვახანია**

# ომარ თეთრაძე: ვარ ბერძენი, ქართული გვარით, რომელიც იტალიაში ვთამაშობ

*1990 წლის საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი რომ ამოიწურა, ოზურგეთის „მერცხალის" მცველი ომარ თეთრაძე 22 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მოხვდა. ეს კია, გული დასწყდა, რომ მარცხენა მცველის ამპლუაში ბადრი დანელიას („გურია") შემდეგ მეორე ნომრად დაასახელეს – რას იზამ, ყველგან პირველობა სჩვეოდა... მერე რუსეთში, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, იქაურ „დინამოში" ითამაშა. როცა ვალერი გაზაევმა ვლადიკავკაზის „ალანია" ჩაიბარა, ნიჭიერმა დამრიგებელმა, პირველ რიგში, სწორედ მას უხმო გუნდში. ევრო-96-ში თეთრაძე რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავდა. ამჟამად ომარი იტალიის საფეხბურთო კლუბ „რომაში" თამაშობს. აი, როგორ იხსენებს იგი საქართველოში გატარებულ წლებს.*



● ***ომარ, თქვენი გვარით დავიწყოთ, ვიცით, ადრე სხვა გვარს ატარებდით.***

— მართლაც, 17 წლის ასაკამდე ოსიპოვი ვიყავი, შემდეგ მშობლების ინიციატივით, ბებიის გვარზე დავეწერე – თეთრაძე გავხდი. გულწრფელად გეტყვით, გვარის შეცვლა არ მინდოდა, მაგრამ მითხრეს, ჩემი კარიერისთვის ასე აჯობებდა.

● ***თბილისში დაიბადეთ?***

— არა, დმანისის რაიონის სოფელ ველისპირში. ისე, თბილისში გავიზარდე. სწავლაზე ცოტა მწყრალად ვიყავი – სულ ბურთს ვაგორებდი. დედაჩემს უნდოდა მუსიკოსი გავმხდარიყავი და აკორდეონიც მიყიდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

● ***ვინ არიან თქვენი მშობლები?***

— მამა მხვნელ-მთესველი იყო, დედა კი დამლაგებლად მუშაობდა. ცხადია, ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ბარაკის ტიპის სახლში. მხოლოდ 1982 წელს მისცეს მამაჩემს ბინა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში.

● ***ახალსახლობაზე იქეიფებდით.***

— ახლობლები შევიკრიბეთ, თითოეულმა რაღაცა მოიტანა, საბოლოოდ კი კარგი სუფრა გამოვიდა. დილამდე მოვილხინეთ.

● ***ბევრი დალიეთ?***

— არა, სასმელს მაინცდამაინც არ ვეტანები. მამა შინაურ წითელ ღვინოს გამასინჯებდა ხოლმე, დღესაც მახსოვს მისი გემო.

● ***კერძებიდან რომელი გიყვართ?***

— ო, ქართული სამზარეულო მრავალფეროვანია: საცივი, ჩახოხბილი, ჩაქაფული, ხაჭაპური, ხინკალი, მწვადი, შემწვარი კარტოფილი წიწილით – თითებს ჩაიკვნეტ! ისე, ჭამის მოყვარული არა ვარ, აი, ჩემს ახლობლებს კი ნამდვილად უყვარდათ ეს საქმე. მახსოვს, ერთ-ერთმა მათგანმა მთელი ბოცა ღვინო გამოსცალა და არ მოჰკიდებია. ბიძაჩემმა კი 99 ხინკალი შეჭამა! ექვსი კათხა ლუდი დააყოლა. ხინკალს თქაფთქაფა წყლიდან იღებდა და პირდაპირ ხახაში მიაქანებდა.

● ***საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა...***

— მიგიხვდით, რაზედაც მეკითხებით. ერებს შორის კარგი ურთიერთობით საქართველო ყველას „ფორას" მისცემს. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება. ბავშვობაში არ იყო ეს საშინელი კონფლიქტები, ძალიან შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით. შეგეძლო შუაღამისას გადასულიყავი მეზობელთან, გულღიად მიგიღებდნენ. დღესაც ბევრი მეგობარი მყავს თბილისში.

● ***თქვენი მეუღლეც წარმოშობით იქაურია?***

— 1995-ში, მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, მეგობარს ვესტუმრე და იქ გავიცანი ანი, რომელიც მაშინ დედასთან ერთად ახალი ჩამოსული იყო თბილისიდან. მალე შევუღლდით კიდეც. გვყავს ორი წლის გოგონა – ქეთი. ძალიან ბედნიერი ვარ: ჩემი ოჯახი ეს ჩემი საყრდენია.

● ***მაშ ბედნიერი ხართ?***

— სრულ ბედნიერებამდე ჯანმრთელობის საკითხი მაქვს მოსაგვარებელი. რაც „რომაში" გადმოვედი, ტრავმებმა დამტანჯა. იმედი მაქვს მალე ჩავდგები ფორმაში.

● ***ომარ, ბოლოს და ბოლოს, ვინ ხართ ეროვნებით?***

— არც ქართველი, არც რუსი – ბერძენი ვარ, შარშან მივიღე საბერძნეთის მოქალაქეობა, საქართველოში ბევრი ბერძენი ცხოვრობდა, სამწუხაროდ, ცნობილი ამბების შემდეგ მრავალმა მათგანმა ქვეყანა დატოვა – ზოგმა საბერძნეთს მიაშურა, ზოგმა რუსეთს, ზოგმა კვიპროსს... ისე, იცოდეს ყველამ – ვარ ბერძენი, ქართული გვარით და იტალიაში ვთამაშობ.

რუსეთის პრესის მიხედვით
მოამზადა **ჯემალ ჭიპაშვილმა.**

**P.S.** როცა 1991-ში ომარ თეთრაძემ საქართველოდან რუსეთს გაეშურა, ჭორი დაირხა – ნაწყენი წავიდა, ძლიერი კლუბების მესვეურები არ სწყალობდნენო. როგორც ხედავთ, საქმე სხვაგვარადაა, იგი გულით კვლავ საქართველოსთანაა.

# ვინ როგორ ფიქრობს?

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომელიც ზამთრის „ძილის" შემდეგ ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესს გამოიწვევს, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაა. 3 მარტიდან მოყოლებული, ჯგუფური ტურნირები, თავისთავად მეტად მძაფრი და საყურადღებო ასპარეზობა ოლიმპიური მეოთხედფინალებით იცვლება. ერთი სიტყვით, სულ სხვა ყაიდის პაექრობის მოწმენი გავხდებით, როცა უკანდასახევი გზა უკვე აღარ არსებობს.**

**„რეალი" (მადრიდი) — „დინამო" (კიევი).** ეს მეტად საინტერესო წყვილი გახლავთ. „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი წილისყრის შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

— ჩემი აზრით, კიევის „დინამო" ჩვენთვის სავსებით მისაღები ვარიანტია. თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა და თამაშები მხოლოდ მარტში განახლდება.

● ***ამასთან ერთად თქვენ თავიდან აიცილეთ შეხვედრები გერმანულ გუნდებთან და განმეორებით — მილანის „ინტერთან".***

— მეოთხედფინალში შემთხვევითი გუნდები არა ხვდებიან. ამ სტადიაში დაახლოებით თანაბარი დონის კლუბები თამაშობენ, არავინ არაფერს არავის აჩუქებს. „დინამო" ძლიერი გუნდია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში ჩვენ გავალთ. თუ ისტორიას გადავხედავთ, კიეველები ძალიან კარგად თამაშობენ ჩემპიონთა ლიგის საწყის ეტაპზე, მაგრამ ხანგრძლივი საზამთრო შესვენების შემდეგ გაზაფხულზე ძალიან უჭირთ. თეორიულად, ვიმეორებ, თეორიულად „დინამო" ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი მეტოქეა. ჩვენ გვინდა ჩემპიონთა ლიგის მოგება, ამიტომ მინდორზე მაქსიმალურად შემართული უნდა გამოვიდეთ.

● ***შევჩენკო, რე[illegible]ი, გუსევი... ეს გვარები თქვენზე შთაბეჭდილებას არ ახდენს?***

— რა თქმა უნდა, ჩინებული ოსტატებია, მაგრამ ჩვენ რატომ უნდა გვაკანკალებდეს? დეე, თვით „დინამომ" ინაღვლოს, როგორ უნდა გაუმკლავდეს რაულს, სავიოსა და კომპანიას.

მადრიდის გაზეთ „AC"-ს მოჰყავს წილისყრის შემდეგ სანსსა და კიევის „დინამოს" საპატიო პრეზიდენტ გრიგორი სურკისს შორის გამართული დიალოგი.

**სანსი:** ერთი რამე შემისრულე. თუკი ჩვენ დაგვამარცხეთ და ფინალში გახვედით, „ნოუ კამპის" (ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბარსელონაში შედგება) სტადიონზე „რეალის" ატრიბუტიკით გამოცხადდი.

**სურკისი:** ნუ ინაღვლებ. ნამდვილად ასე გავაკეთებ.

**სანსი:** შენც ნუ იდარდებ. „ბერნაბეუს" სტადიონის ლოჟაში ისეთ შეხვედრას მოგიწყობთ, როგორიც გეკადრება. ათასჯერ უკეთ მიგიღებთ, ვიდრე „ნოუ კამპზე".

**სურკისი:** ეჭვი არ მეპარება.

**სანსი:** ერთსაც ვიტყვი: „რეალს" ისე იოლად ვერ დაამარცხებთ, როგორც „ბარსელონას". ნურცკი იოცნებებ, რომ ერთ თამაშში სამ გოლს გაგვიტან, მეორეში კი ოთხს.

**სურკისი:** ვიცი. მეც შემიძლია გაგაფრთხილო: „დინამოს" ისე იოლად ვერ დაამარცხებთ, როგორც ეს გაზაფხულზე კიევში „იუვენტუსმა" გააკეთა.

„რეალის" მოთამაშეებს, თავის მხრივ, სწამთ, რომ შეძლებენ „დინამოსთან" მოგებას. **რაულ გ[illegible]ეს ბლანკო:** „ჩვენ ძნელი მეტოქე შეგვხვდა, მაგრამ უკეთესი გუნდი გვყავს და ეს უნდა დავამტკიცოთ კიდეც.

**„მანჩესტერ იუნაიტედი" — „ინტერი" (მილანი).** ეს შეხვედრები მრავალ სპეციალისტს, მათ შორის იგივე სანსსაც, მეოთხედფინალში ცენტრალურად, ყველაზე უფრო საინტერესოდ მიაჩნიათ. „მანჩესტერ იუნაიტედი" ახლა ალმავლობით იბრძვის და ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია, თუმცა არავინ იცის, რა იქნება გაზაფხულზე. რაც შეეხება „ინტერს", იგი თანდათან აუმჯობესებს თამაშს. მირჩა ლუჩესკუს გუნდის შემადგენლობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მოუხდენია, რონალდოსა და რობერტო ბაჯოს მწყობრში ჩადგომასთან დაკავშირებით კლუბის გულშემატკივრებს დიდი იმედი მიეცათ. თუ იტალიის ჩემპიონატში უმკაცრესი კონკურენციის გამო „ინტერს" გაუჭირდება პირველი ადგილისათვის ბრძოლა, ჩემპიონთა ლიგაში შექმნილ სიტუაციას მილანელთა კლუბის ხელმძღვანელობა თავისათვის საკმაოდ ხელსაყრელად თვლის.



სერგეი რებროვი
(მუქ მაისურში)

**„ბაიერნი" — „კაიზერსლაუტერნი".** გერმანელი კომენტატორები მათი კლუბების უკვე მეოთხედფინალში შეხვედრას გარკვეულ უიღბლობად თვლიან. უკვე მეორე წელია „ბაიერნი" და „კაიზერსლაუტერნი" გადაკიდებული კლუბებია. შარშანდელ ჩემპიონატში ოტო რეჰაგელის კლუბმა ორი მძიმე მარცხი აგემა „ბაიერნს", მაგრამ ოტმარ ჰიტცფელდმა წელს შეძლო ერთი რევანშის აღება. მიუნხენელები წლეულს ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები არიან, „კაიზერსლაუტერნმა" მძიმე სტარტი აიღო, მაგრამ იმედს არა კარგავს. ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რაც, ვთქვათ, 5-6 ტურის წინ საბოლოოდ დაკარგული ჩანდა — „კაიზერს" საშუალება მიეცა ჩემპიონობის შესანარჩუნებლად იბრძოლოს. ასეთ ვითარებაში გაუტეხელი რეჰაგელი კვლავ შეეცდება „ბაიერნის" გამწარებას.

**„იუვენტუსი" (ტურინი) — „ოლიმპიაკოსი" (ათენი).** მოვუსმინოთ ლორენსო სანსს: „იუვენტუსს", რა თქმა უნდა, ბედმა გაუღიმა. მაგრამ მან პირველ შეხვედრაში გოლების სოლიდური მარაგი უნდა შეიქმნას, იტალიელები ხომ მეორე მატჩს სტუმრად ატარებენ, საბერძნეთში კი თამაში ყოველთვის ძნელია. იქ მეტისმეტად გამძაფრებული ატმოსფეროა.

ვთქვათ ისიც, რომ „იუვენტუსი", უკვე დანამდვილებით, გამოეთხოვა იტალიის ჩემპიონის წოდებას. ახლა მისი ერთადერთი იმედი, სწორედ ჩემპიონთა ლიგაზეა დამყარებული. მარჩელო ლიპი, საკუთარი განცხადებით, გუნდში არავითარ შემთხვევაში აღარ დარჩება და, რა თქმა უნდა, სურს „იუვენტუსს" ლამაზად გამოეთხოვოს.

ბივი თორელი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### კრუიფი: ყველაფერი დააქცია, რაც კი მე ავაგე!

**განთქმული იოჰან კრუიფი, გასაგებია, თავის ჰოლანდიელ თანამემამულე ლუის ვან გაალს გულისხმობს, რომელიც ახლა დიდ მარცხს განიცდის „ბარსელონაში". კრუიფმა კი ამ კლუბს თავისი ცხოვრების ოცზე მეტი წელი შესწირა.**

**— ეს უსასრულო ქუჩაა, ვან გაალმა თვითონაც არ იცის, საბოლოოდ სად უნდა მივიდეს. მისი სათამაშო სისტემა არც შემტევია და არც კონტრიერიშზე გათვლილი. მას მინდორზე 11 კაცი გამოჰყავს, რომლებიც არცკი ფიქრობენ კოლექტიური ფეხბურთის თამაშს. მისი სამწვრთნელო შტაბი ბარსელონაში უკვე წელიწადნახევარია, მაგრამ საერთოდ ვერაფერი გააკეთა.**

**კრუიფი შეუერთდა იმ ესპანელ მიმომხილველებს, რომლებიც ვან გაალის მთავარ შეცდომად ჰოლანდიელ მოთამაშეებზე აქცენტის აღებას თვლიან.**

**— დიახ, მეც ჰოლანდიელი ვარ, მე ჩამოვიყვანე ბარსელონაში კუმანი და ვიჩგე, მაგრამ მინდორზე 7 თანამემამულე არასოდეს გამომიყვანია, რასაც ზოგჯერ ვან გაალი აკეთებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხმაური ატყდებოდა ამსტერდამში, „აიაქსის" შემადგენლობაში ერთდროულად რომ 7-8 ესპანელი მოთამაშე გამოჩენილიყო. ვან გაალს ძალიან ბევრი შეცდომა მოუვიდა. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ იგი უჭკუოა, არა, უბრალოდ, არ ესმის ადგილობრივი სპეციფიკა. მან ყველაფერი დააქცია, რაც კი მე ავაგე. არც კატალონიელი მოთამაშეების აღიარება აქვს.**

**თვით კრუიფი კვლავ „ბარსელონაში" ცხოვრობს და თავისი საყვარელი კლუბის თამაშს ყურადღებით ადევნებს თვალს.**

### „ფეხბურთი ღატაკთა ბავშვებმა უნდა ითამაშონ"

ასე თვლის განთქმული ბრაზილიელი თავდამსხმელის მამა ლუიშ ნაზარიუ დე ლიმა (ნილიო). მისი აზრით, ფეხბურთი საუკეთესო ალტერნატივაა, როცა ღატაკებს სურთ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. „მე მინდოდა, რომ ჩემს შვილს რონალდოს ესწავლა, მაგრამ ღარიბი კაცის შვილისათვის ეს შეუძლებელი რამ არის. გამოსავლად ფეხბურთი რჩება. ვერსად ნახავთ ღარიბის შვილს ინჟინერი, მფრინავი ან ექიმი რომ გამხდარიყოს. იგი, თუ არა სპორტისა ან მუსიკის მეშვეობით, ვერასოდეს შეძლებს საზოგადოებაში მაღალი ადგილის დაკავებას". ეს განცხადება რონალდოს მამამ გააკეთა მეორე განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის, რომარიოს მამა ედევაირთან შეხვედრის დროს, რომელიც ყოველდღიურმა გაზეთმა „ჟორნალ დო ბრაზილმა" მოაწყო. ამ დიალოგის დროს, რომელიც ერთ-ერთ ბარში შედგა, მამებმა დიდი სიამაყით ახსენებს თავიანთი ვაჟები და სინანულით მოიგონეს ბრაზილიის ნაკრების გამოსვლა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში. ნილიომაც და ედევაირმაც მკაცრად გააკრიტიკეს ნაკრების ექიმი ლიდიო ტოლედო და ზაგალოს თანაშემწე ზიკო. სწორედ მათ გამო იყო, როგორც თვლიან მამები, რომ საფრანგეთში არ გაემგზავრა რომარიო, რომელსაც იქ სიკეთის მოტანა შეეძლო.

### საუკეთესო თავდამსხმელთა ათეული

**ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი სნაიპერების სია ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით. ყველაზე უკეთესი შედეგები აქვს ეკვადორის კლუბ „ემელეკის" თავდამსხმელ ხაიმე კავიედესს, რომელმაც თავისი ქვეყნის პირველობაზე 41 გოლი გაიტანა. გათვალისწინებული იყო მხოლოდ მსოფლიოს 50 საუკეთესო ლიგაში მიღწეული მაჩვენებლები. ამიტომ არაფრად ჩათვალეს გერმანელ ფეხბურთელ რაუფმანის მიერ კვიპროსის „ომონიაში" გატანილი 42 გოლი.**

**აი სხვა სნაიპერებიც: 2. მასახი ნაკაიამა, იაპონიის „ჯუბილო ივატა" — 37. 3. ნიკოს მახლასი, ბერძენი ფეხბურთელი, რომელიც თამაშობს ჰოლანდიის „ვიტესში" — 34. 4. ვიქტორ ბონილია, კოლუმბიის ქ. კალის „დეპორტივო" — 34. 5. მარკო ნეგრი, იტალიელი ფეხბურთელი, რომელიც თამაშობს შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" — 32. 6. ხაკან შუქური, თურქეთის „გალათასარაი", ქ. სტამბოლი — 32. 7. კშიშტოფ ვარჟიხა, პოლონელი, რომელიც თამაშობს საბერძნეთის „პანათინაიკოსში" — 32. 8. ვიქტორ ანტელო, ბოლივიის „ბლიუმინგი" — 32. 9. ჯონ სტერნი, აშშ-ს „კოლამბუს კრიუ", — 29. 10. სერხიო გალავანი, კოლუმბიის „ონსე ვალდასი" — 29 გოლი.**

### შეიმჩნევა ძალადობის ზრდა

მსოფლიოს საფეხბურთო სტადიონებზე ძალადობის ზრდა შეიმჩნევა. ესპანეთში მოკლეს „რეალ სოსიედადის" გულშემატკივარი: ჩილეში დიდი შეტაკება მოხდა პოპულარული კლუბების „კოლო-კოლოსა" და „უნივერსიდად დე ჩილეს" ფანატიკის ქომაგებს შორის, დაიღუპა „კოლო-კოლოს" 16 წლის გულშემატკივარი. ისევე, როგორც ესპანეთში, პოლიცია ჩხუბის ადგილას მხოლოდ მაშინ მივიდა, როცა ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. ბრაზილიაში დიდი შეხლაშემოხლა ატყდა ბელუ-ორიზონტეში ადგილობრივ „კრუზეირასა" და სან-პაულუს „კორინტიასის" (რომელსაც, სხვათა შორის, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი ვანდერლეი ლუქსემბურგო წვრთნის) მატჩის დროს. დაზიანდა 30 გულშემატკივარი, რომელიც სან-პაულუდან მატჩის საყურებლად იყო ჩამოსული. ისინი ავტობუსებში ისხდნენ, მაგრამ ადგილობრივმა ქომაგებმა არ დაინდეს, მიეჭრნენ და ქვები დააყარეს.

„კორინტიანსი" ბელუ-ორიზონტეში მეტისმეტად მტრულად მიიღეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვანდერლეი ლუქსემბურგომ ოფიციალური პროტესტი განაცხადა იმ ოტელის პერსონალის „საბოტაჟის" გამო, სადაც სტუმართა გუნდი დაბინავდა.

### მხოლოდ 1 თებერვალს გამოცხადდება

**როგორც ფიფას შტაბ-ბინიდან იუწყებიან, მსოფლიოს №1 ფეხბურთელის სახელი მხოლოდ 1 თებერვალს გამოცხადდება გალა-წარმოდგენის დროს. მას გამოარკვევს რეფერენდუმი, რომელშიც 129 ცნობილი მწვრთნელი მიიღებს მონაწილეობას. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ეს საპატიო წოდება შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთს სამთაგან: რონალდოს, ზინედინ ზიდანს ან დავორ შუკერს.**

# შეუპოვარი ოპტიმისტი ლუქსემბურგო

## ანუ „სჯობს ასე ვთქვათ: მე ამას გავაკეთებ!“

**20 წლის ვანდერლეი ლუქსემბურგო პირველად გამოჩნდა რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში“, კლუბში, რომლის გულშემატკივარიც ბავშვობიდანვე იყო.**



მართალია, დიდი წარმატებები მას არა ჰქონია — ახალგაზრდა მცველი ძირითადად სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა. ხელფასი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ სხვა დამატებითი სამუშაოს ძებნაც კი გახდა საჭირო (დღევანდელ პირობებში ეს, საერთოდ, წარმოუდგენელია!). იგი ადრეც იყო ფეხსაცმლის მწმენდავი, ნაყინის გამყიდველი. ახლა, უკვე „ფლამენგოს“ (თუმცა, სათადარიგო) მოთამაშემ მანქანების გამყიდველი კანტორა გახსნა. შემდეგ, ისე, რომ ეს საქმე არ მიუტოვებია, პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. პირველად ნამდვილი ფურორი ბრაზილიურ ფეხბურთში 1990 წელს მოახდინა, როცა უმნიშვნელო „ბრიგანტინო“ სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახადა. მანქანების გაყიდვის საქმე გაცილებით უკეთ წავიდა.

ლუქსემბურგომ დიდი სახელი „პალმეირასში“ მოპოვებული გამარჯვების სერიით მოიპოვა. სან-პაულუს შტატის 1996 წლის ჩემპიონატში 30 ტურში 27 მატჩი მოიგო. გუნდმა 102 გოლი გაიტანა. ბევრი მიმომხილველი ამას ბრაზილიის პროფესიული ფეხბურთის 65-წლიან ისტორიაში ყველაზე უფრო კაშკაშა წარმატებად მიიჩნევს, იმაზე მაღლაც კი აყენებს, რაც „სანტოსმა“ პელეს ეპოქაში გააკეთა. ამის მიუხედავად ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურები ლუქსემბურგოს კალთას არ ახევდნენ, ნაკრებში არ იწვევდნენ. არიან იმის მოწმეები, რომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ მახლობელთა ვიწრო წრეში თქვა: „სანამ მე პრეზიდენტი ვარ, ლუქსემბურგო ბრაზილიის ნაკრებს ვერ იხილავს“.

როცა ჩემპიონატი დასრულდა, ბრაზილიის სოციოლოგიური გამოკვლევების ინსტიტუტმა „და ტაფილიამ“ ჩაატარა გამოკითხვა თემაზე: „ვინ უნდა იყოს ნაკრების მწვრთნელი?“ შედეგები ტეიშეირასათვის „მომაკვდინებელი“ იყო: გამოკითხულთა 69 პროცენტმა დაასახელა ლუქსემბურგო. მეტი რაღა ჩარა იყო: იგი მიიწვიეს ნაკრებში, მაგრამ გამოაცხადეს, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისთვის გუნდის მზადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიანდობდნენ, თუ სამ შეჯიბრებაში წარმატებით მიიღებდა მონაწილეობას. ერთი გახლავთ კონფედერაციის თასი მექსიკაში, მეორე — კოპა ამერიკა პარაგვაიში, მესამე — 2000 წლის წინაოლიმპიური ტურნირი ბრაზილიაში.

ახლა კი გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ვანდერლეი ლუქსემბურგოს ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც მან ბრაზილიურ ჟურნალ „პლაკარს“ მისცა.

● ***სენიორ ვანდერლეი, როგორ აპირებთ ბრაზილიის ნაკრების განახლებას?***

— იმ ნაკრების ბირთვს, რომელიც საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა, შევინარჩუნებთ. დენილსონი, რივალდო, რონალდო, დორივა, საკმაოდ ახალგაზრდები არიან და ჩვენ შეგვიძლია 2002 წლისათვის მათი იმედი გვქონდეს. ამავე დროს უნდა ვთქვა, რომ ისეთ ვეტერანებს, როგორნიც არიან ალდაირი, დუნგა და ტაფარელი, აღარ ექნებათ საშუალება დაეხმარონ ნაკრებს.

● ***ალდაირის, ჟულიო სეზარის, რიკარდო როჩას თაობა, ფაქტობრივად, ამთავრებს თავის კარიერას. მიაქციეთ ყურადღება, სამივე მათგანი მცველია. ვინ იქნება ახლა ნაკრების დაცვის ცენტრში?***

— არ მინდა უარვყო, რომ ჩვენ დღეს დაცვის ცალკეულ პოზიციებზე პრობლემები გვაქვს. ეს ასეა, მაგრამ მარჯვენა მცველის პოზიციაზე ბრაზილიას მსოფლიო კლასის მოთამაშე ჰყავს. ეს არის კაფუ. საჭიროა სხვა პოზიციებზე სათანადო კანდიდატების მონახვა.

● ***უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატებში ის ნაკრებები იმარჯვებდნენ, რომლებსაც მტკიცე დაცვა ჰყავდათ. ეს გზა ბრაზილიამაც უნდა აირჩიოს?***

პრობლემა ისაა, რომ, სულელური გოლები არ გავუშვათ. მე აგრესიული თამაშის მომხრე ვარ, ოღონდ იმ პირობით, რომ დაცვაში სისუსტეები არ გვექნება.

ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა განვაცხადო, რომ მე უკვე შევქმენი დიდი გუნდები. გავიხსენოთ 1996 წლის „პალმეირასი“, რომელსაც სან-პაულუს ჩემპიონატში ყველაზე უკეთესი დაცვა და ძალზე ძლიერი თავდასხმა ჰყავდა. რივალდო მინდვრის სიღრმიდან შეიჭრებოდა ხოლმე და გოლები გაჰქონდა, მიულერი კი ყოველთვის წინა ხაზზე იბრძოდა.

● ***დუნგა მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების ლიდერი იყო. შეგიძლიათ დაასახელოთ მისი შემცვლელი?***

— აქ მთავარი ადამიანის ბუნებრივი ნიჭიერებაა. სინამდვილეში გუნდს ერთი კი არა, რამდენიმე ლიდერი სჭირდება. ფეხბურთში ეს სხვადასხვანაირად მჟღავნდება. ზოგი მინდორზე ყვირის და იგინება, ზოგი კი სულ სხვანაირად მოიპოვებს ხოლმე ავტორიტეტს: პარტნიორების პატივისცემას იმსახურებს ის, ვინც თვითონ თამაშობს კარგად. მაგალითად, „პალმეირასის“ მცველი კლებერი აშკარა ლიდერია, თუმცა, ხმისამოუღებლად თამაშობს. როცა კი კლებერი ლაპარაკს იწყებს, მას დიდი ყურადღებით უსმენენ.

● ***თქვენი წინამორბედი ზაგალო თვლიდა, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, როცა კლუბების თამაშს ესწრება, კანდიდატებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს, ისინი თავს შებოჭილად გრძნობენ. რას იტყვით ამის შესახებ?***

— თუკი მოთამაშე მხოლოდ იმის გამო გრძნობს თავს მინდორზე შებოჭილად, რომ ტრიბუნაზე მე ვიმყოფები და მას ვადევნებ თვალს, ასეთ კაცს ბრაზილიის ნაკრებში რა საქმე აქვს.

● ***თქვენ ითვალისწინებთ მოთამაშეთა აზრს გუნდის შემადგენლობის დადგენაში?***

— რა თქმა უნდა. სხვადასხვა კლუბებში ჩემი მუშაობის დროს, იმის ანალიზის შემდეგ, რაც ცალკეულ საუბრებში მოთამაშეებმა თქვეს, მე არაერთხელ შემიცვლია სათამაშო სქემა და შემადგენლობაც კი. დიდი შეცდომაა, როცა საკუთარ აზრს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად თვლი.

● ***ახლა ტაქტიკაზე ვისაუბროთ. ბრაზილიის ნაკრების სათამაშო სქემა კლასიკური 4-4-2-საგან განსხვავებული იქნება?***

— ნებისმიერი სქემა მოთამაშეების ხელოვნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ თქმა, რომ ბრაზილიელები 4-4-2-ს იყენებენ, მთლად ზუსტი არ იქნებოდა. საქმეს უფრო ღრმად უნდა შევხედოთ. გერმანიაში, მაგალითად, ბიჭებს ბავშვობიდანვე სამი ცენტრალური მცველით თამაშს აჩვევენ. უნდა გითხრათ, რომ ტყუილად იქცევიან ასე. ბრაზილიაში კი ჭაბუკთა ერთ გუნდსაც ვერ ნახავთ, რომელიც მოძველებულ 3-5-2-ს იყენებდეს. მეტსაც გეტყვით: სინამდვილეში ახლა ამ სქემით ბრაზილიის არც ერთი გუნდი აღარ თამაშობს. როცა მეტოქე გვიტევს, განაპირა მცველები ვალდებულნი არიან უკან დაბრუნდნენ. ყველა თავს იცავს, საწყისი სქემა იცვლება: 5-3-2. სქემა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც თამაშში გუნდის ტაქტიკური გარდაქმნის უნარი. თანაც ეს რომელიმე მოთამაშის შეცვლის გარეშე უნდა ხდებოდეს. ამასთან, ცენტრალურ მცველს საჭიროების შემთხვევაში საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციის შესრულებაც უნდა შეეძლოს, შემტევი ნახევარმცველი გარკვეულ მომენტში თავდამსხმელი უნდა გახდეს და ასე შემდეგ.

● ***მაგრამ აქვს კი დრო თქვენს ნაკრებს ესოდენ რთული ცვლილებების ასათვისებლად, ფუნქციების შესაცვლელად?***

— რა თქმა უნდა, ეს იოლი საქმე არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ ბევრი ფეხბურთელი საწვრთნელ ბაზაზე დაძაბული მატჩების შემდეგ საკმარისად დაღლილი ჩამოდის.

● ***მიულერი იანვარში 33 წლისა ხდება, აქვს თუ არა მას შესაძლებლობა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდეს?***

— მე მოთამაშის ასაკს განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევ. თუკი კონკრეტული მატჩისათვის მზადებისას ჩემს განკარგულებაში არ არის გარკვეული როლის შესასრულებლად ახალგაზრდა მოთამაშე, რომელსაც მიულერის ფუნქციების ტვირთვა შეუძლია, მაშინ მე შეკრებაზე მიულერს ვიწვევ, მას, სხვათა შორის, ყველა შესაძლებლობა აქვს ითამაშოს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში. თუკი 35-36 წლის ვეტერანს შეუძლია მაღალ დონეზე ზედიზედ რამდენიმე მატჩის თამაში, რატომ უნდა ვთქვათ მასზე უარი.

● ***ნაკრების გარდა, თქვენ „კორინთიასში“ მუშაობასაც აგრძელებთ. ყველაფერში თანაბარი პირობების შემთხვევაში თქვენი კლუბის მოთამაშეს ხომ არ მიანიჭებთ უპირატესობას?***

— თუკი ნაკრების რომელიმე პოტენციურმა კანდიდატმა ყურები ჩამოყარა იმის გამო, რომ გარკვეული დროის განმავლობაში სათამაშოდ არ მიიწვიეს, ეს მხოლოდ ერთ რამეს ამტკიცებს: ასეთი კაცი ნაკრებს არ სჭირდება. რაც შეეხება ნაკრებში „კორინთიანსის“ მოთამაშეებისათვის უპირატესობის მიცემას...

● ***როგორ მოიქცევით, სათადარიგო მოთამაშემ ინტერვიუში საჯაროდ რომ განაცხადოს, მე ძირითად ფეხბურთელზე უკეთ ვთამაშობო?***

— თუკი ასეთი ნაბიჯი ჩვენს გუნდურ სულისკვეთებაზე უარყოფითად იმოქმედებს, ასეთი ფეხბურთელი ვერასოდეს ეღირსება ნაკრებში მიწვევას.

● ***თუკი ყველაფერი კარგად იქნება, თქვენ ბრაზილიის ნაკრების ისტორიაში პირველი მწვრთნელი გახდებით, ვინც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი წლით ადრე ჩაიბარა, იგი წარმატებით ატარა შესარჩევ შეჯიბრებებში და ფინალში გაიყვანა.***

— თავი დავანებოთ სიტყვას „თუკი“. სჯობს ასე ვთქვათ: მე ამას გავაკეთებ!

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „ბრაზილიის ნაკრები — ეს არის ამოროზო + 10 მოთამაშე“

ბრაზილიისა და რუსეთის ნაკრებების ამასწინანდელ მატჩში, ქ. ფორტალეზეში, ადგილობრივი ჟურნალისტების სიტყვით, მასპინძელთა გუნდს ტრიუმფულად დაუბრუნდა თავდამსხმელი მარსიო ამოროზო. მან ორი გოლი გაიტანა და საერთოდ კი თამაშში ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ბურთის თითოეული მისი შეხება მქუხარე ოვაციებს იწვევდა. ზოგ ძველ გულშემატკივარს კარგად ახსოვდა, ვინ იყო და რა შეეძლო ამოროზოს, ზოგს კი თითქმის ყველაფერი დაავიწყდა და ამასაც, შეიძლება ითქვას, თავისი მიზეზები ჰქონდა.

1994 წელს, როცა ამოროზო 20 წლისაც არ იყო, „ფლამენგოს“ შემადგენლობაში სეზონი ისე ბრწყინვალედ წარმართა, რომ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაც კი მიიღო. ეს გასაოცარი წარმატება იყო. გავიხსენოთ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის წელს მოხდა, რომარიომ ნამდვილი ფურორი მოახდინა. ამის მიუხედავად... ამ დროისათვის ამოროზო უფრო ნიჭიერ მოთამაშედაც კი ითვლებოდა, ვიდრე რონალდო.

როგორ მოხდა, რომ ასეთი სეზონის შემდეგ ამოროზო კარგა ხნით ჩრდილში მოექცა? ამის მიზეზი 1995 წელს მიღებული უმძიმესი ტრავმა იყო, განკურნებას ძალზე დიდი ხანი მოუნდა, შემდეგ ამოროზო იტალიაში გაემგზავრა, სადაც „უდინეზეში“ ოლივერ ბირჰოფთან ერთად მრისხანე დუეტი შექმნა. ამ დუეტის გამო იყო, რომ მანამდე უმნიშვნელო „უდინეზე“ იტალიურ გრანდებს გაუთანაბრდა. მთავარ დამსახურებად ბირჰოფის თამაშს მიიჩნევდნენ, მაგრამ ბრაზილიური წვლილიც მნიშვნელოვანი იყო.

იტალიაში კი საქმე კარგად ჰქონდა, მაგრამ ტრავმის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ, მანამდე რომ ძალიან აფასებდა ამ ფეხბურთელს, აშკარად ზურგი შეაქცია. აქაოდა, ბევრი ძლიერი თავდამსხმელი მყავსო, ამოროზო არც მსოფლიო ჩემპიონატამდე მიუწვევია, არც მისი დაწყების წინ. ასე გავიდა სამნახევარი წელი. აი, ვანდერლეი ლუქსემბურგოს კი ამოროზო არ დავიწყებია. რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ თავდამსხმელთა ახალმა წყვილმა ელბერმა და ამოროზომ ითამაშა.

– 15 წუთიც კი მეყო, იმის დასამტკიცებლად, რომ ნაკრებში შემთხვევითი კაცი არა ვარ. – სიამაყით განუცხადა ამოროზომ გაზეთ „ო გლობოს“ ჟურნალისტს.

– დიდი ხანია ასეთი ბედნიერი და აღელვებული არ ვყოფილვარ. პირველი გოლი რუსების კარში ჩემს ოჯახს მივუძღვენი.

● *მეორე?*

– მეორე – „უდინეზეს“. ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც გოლის გატანაში მეხმარებიან, მწვრთნელებს და ხელმძღვანელებს, რომლებმაც ხელი არ შემიშალეს სამშობლოში გაეფრენილიყავი და რუსებთან მატჩში მიმეღო მონაწილეობა.

● ***პირველი ბრაზილიელი არა ხარ, ვინც კი „უდინეზეში“ გამოდის. აქ 80-იან წლებში ზიკო თამაშობდა. მას მეტად უსიამოვნო რამ შეემთხვა, სწორედ ბრაზილიაში გაფრენასთან, ნაკრებში გამოსვლასთან დაკავშირებით. კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილების გამო სერიოზულად დაიზიანა კუნთები და იტალიაში ავადმყოფი დაბრუნდა. „უდინეზე“ კი ძლიერ იყო დამოკიდებული ზიკოზე. იგი ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ უმისოდ ძალზე გაიუარესა მდგომარეობა. ამის შედეგად „უდინეზემ“ უეფას თასზე თამაშის უფლება დაჰკარგა. არ გეშინოდა, რომ ამის მსგავსი რამ შენც მოგსვლოდა?***

– არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, ზიკოს რომ შეემთხვა. ჰაერის ტემპერატურა მართლაც ძლიერ განსხვავებულია ხოლმე. უდინეში, ბრაზილიაში ჩემი გაფრენის წინ პლიუს ორი გრადუსი იყო, ფორტალეზაში კი 30-გრადუსიან სიცხეში აღმოვჩნდი. როგორც ხედავთ, არაფერი მომსვლია, ჯანმრთელი ვარ. მართალი გითხრათ, ამ ნიუანსს დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. მხოლოდ ერთს ვფიქრობდი, გამოვსულიყავი მინდორზე და მეჩვენებინა, რაც კი შემიძლია.

● ***საინტერესო დამთხვევაა: 1994 წელს, შენ რომ ნაკრებში დებიუტი გქონდა, ჩილელების წინააღმდეგ ასევე 5 გოლი გავიდა.***

– დიახ, არ მოველოდი, რომ ჩვენ ასე იოლად მოვუგებდით ჩილელებს სანტიაგოში. 5-0. აქედან ერთი გოლი მე გავიტანე. შემდეგ იყო წარუმატებელი მატჩი ჰონდურასთან, რომელიც ფრედ – 1-1 დასრულდა. ამის მიუხედავად, პრესამ შემაქო. მარიო ზაგალომ თქვა: „ბრაზილიის ნაკრები – ეს არის ამოროზო + კიდევ 10 მოთამაშე“.

● ***თქვა და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სიტყვები დაივიწყა.***

– ასეთია პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრება: ერთ დღეს მძიმედ დაშავდები და ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. ასე მომივიდა 1995 წელს: მუხლი საშინლად დამიზიანეს. ზაგალო... გულახდილად გეტყვი, მასზე წყენა აქამდე გამომყვა. მე ცოტა მეტ ყურადღებას ვიმსახურებდი.

● ***იყო დრო, შენი ტოლი რონალდოც კი ჩამოიტოვე. შემდეგ მან, შეიძლება ითქვას, დიდად წაიწია წინ.***

– გამოვთქვამ იმედს, რომ რუსებთან მატჩის შემდეგ კვლავ მივუახლოვდი მას. არა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მისი შევიწროება მინდა შემადგენლობაში. ჩვენ საერთო საქმეს ვაკეთებთ და ყველა დაინტერესებულია, რომ ნაკრები ძლიერი და ერთიანი იყოს.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ბირჰოფი „მილანში“ გადავიდა, „უდინეზეს“ ეს გარემოება აშკარად დაეტყო. რაც შეეხება თვით ამოროზოს, იგი კვლავ ძლიერად და შედეგიანად თამაშობს. საკმარისია ითქვას, რომ 12 ტურში ბრაზილიელმა 8 გოლი გაიტანა, რაც სნაიპერთა შორის მეორე-მესამე შედეგია („რომას“ მოთამაშე დელვეკიოსთან ერთად). წინ კი 12 გოლით „ფიორენტინას“ განთქმული ბომბარდირი, არგენტინელი ბატისტუტაა (12 გოლი).

გივი თორელი

## ახალი პრეტენდენტი — მაროკო

მაროკოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას გაუგზავნა ოფიციალური განაცხადი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ახლა მაროკომ, გერმანიამ, ინგლისმა, ბრაზილიამ, ეგვიპტემ და განამ უნდა წარმოადგინონ 1999 წლის ივლისის მიწურულისათვის თავიანთი პროექტები, ის ქვეყანა კი, რომელმაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი უნდა ჩაატაროს, 2000 წლის მარტში გახდება ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ პრეტენდენტთა რიცხვს დაემატება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომლის ფეხბურთის ფედერაციამ არაერთხელ განაცხადა თავისი სურვილის შესახებ. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი შეიძლება ისტორიაში პირველი იყოს, რომელიც აფრიკის მიწაზე ჩატარდება, რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ წესრიგში იქნება სტადიონები, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, უშიშროება და სასტუმროები.

## ერთი თავისებური «როქი»

როგორც ცნობილია, რუმინელმა სპეციალისტმა მირჩა ლუჩესკუმ მილანის „ინტერის“ სათავეში ეს-ეს არის შეცვალა ჯიჯი სიმონი. მეორე მხრივ, ბუქარესტის „რაპიდის“ მესვეურები სერიოზულად შეშფოთდნენ, რომ მრავალნაცადმა ლუჩესკუმ კლუბი დატოვა, იფიქრეს, იფიქრეს და მის ნაცვლად მიიწვიეს ჯიჯი სიმონი! აქ ერთი რამ არ არის ნათელი, სად შეუძლია მოკრძალებულ რუმინულ კლუბს გადაუხადოს სიმონის 600 ათასი დოლარი, სწორედ იმდენი, რაც მას „ინტერის“ ხელმძღვანელობამ დაჰპირდა. ეს რუმინული ფეხბურთისათვის პირდაპირ წარმოუდგენელი თანხა გახლავთ.

„გაძეტა დელო სპორტს“ ერთი საინტერესო დეტალიც მოჰყავს: როცა „ინტერის“ გულშემატკივრებს ეთხოვებოდა, სიმონიმ ერთი თავისებური რამ თქვა: „ჩაო, მალე შევხვდებით ერთმანეთს!“

რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები?

# ქართველთა აუქციონზე დიდი ცვლილებებია, ტრანსფერები „იჩარხება“, მაგრამ ბოლომდე არც ერთი არაა მიყვანილი

*(პირველი გვერდიდან)*

კავკასიის „ალანიის“ საკუთრებაა და ბელგიელებმა ოსებთან საბოლოოდ მოილაპარაკეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ახალი ამბავიც შევიტყვეთ — ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ მწვრთნელს ფინკეს მოუწადინებია გუნდში კიდევ ერთი ქართველი ჰყავდეს — ნახევარმცველი **ლევან ცქიტიშვილი**. ამბობენ, კონტრაქტს ამ დღეებში მოაწერენ ხელს და ცქიტიშვილს უფლება ექნება უკვე მეორე წრიდან ჩაერთოს საბუნდესლიგო ორთაბრძოლებში ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის გვერდით.

ჩვენ, გულშემატკივრებიც, სპორტული ჟურნალისტებიც ხშირად ვსაყვედურობდით ქართული კლუბების მესვეურებს — ნუ უშვებთ ფეხბურთელებს მეორეხარისხოვან საზღვარგარეთულ გუნდებშიო. როგორც ხედავთ, მდგომარეობა ამ მხრივ შესამჩნევად გამოსწორდა. გოჩა ჯამარაული — „სევილიაში“, ლევან ცქიტიშვილი — „ფრაიბურგში“, დავით მუჯირი — „იუვენტუსში“... რაო, იკითხავს გულშემატკივარი, ამ ბოლო ტრანსფერზე არაფერი გსმენიათო? დიახ, სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **დავით მუჯირი** მიემგზავრება სტაჟირებაზე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში.

რამდენიმე სიტყვა მხედველობის არედან დაკარგული **კახი გოგიჩაიშვილზეც**. იგი, როგორც ცნობილია, რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა. ამ კლუბს სათავეში უდგას ქართველი პრეზიდენტი ომარ შარაძე — იქაური რკინიგზის ხელმძღვანელი. სწორედ მისი მოწადინებით გადავიდა შარშან კახი რკინიგზელთა კლუბში და დაეხმარა მას უმაღლეს ლიგაში გადასულიყო. ახლა იტყობინებიან, რომ გოგიჩაიშვილი აღარ აპირებს იქ დარჩენას — მას წინადადებები აქვს ბერძნული, კვიპროსული და ისრაელის კლუბებიდან.

და ბოლოს, შვეიცარიის „გრასჰოპერსისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ **გიორგი ნემსაძის** შესახებაც მოგაწვდით ინფორმაციას — იგი ვერა და ვერ შეეგუა „კალიების“ გუნდს და მისი მენეჯერი ამჟამად ახალი კლუბის ძებნაშია. ცნობილი გახდა, რომ ნემსაძის შეძენის სურვილი გამოუთქვამს საბერძნეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ოლიმპიაკოსს“.

## მოკლედ ნომრიდან — ნომრამდე

● **ფრანგული** გაზეთების ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ ტრავმირებული ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელად მარსელის „ოლიმპიკისა“ და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი დაიგულა. თუმცა, ამ ინფორმაციის საპირისპიროდ, ესპანური პრესა იტყობინება, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ განიზრახა „რეალ-სოსიედადის“ იუგოსლავი ფორვარდის დარკო კოვაჩევიჩის შეძენა.

● **ოფიციალურად** გამოცხადდა, რომ შვეიცარიული „გრასჰოპერსის“ მთავარი მწვრთნელი როლფ ფრინგერი გადაყენებულია თანამდებობიდან — მას გასულ სეზონში მოპოვებული შვეიცარიის ჩემპიონობა არ დაუფასეს და ამჟამად მეორე ადგილზე ყოფნაც არ აპატიეს. მას ისიც გაუხსენეს, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიყვანეო. იტყობინებიან, რომ მიხეილ ყაველაშვილსა და გიორგი ნემსაძის მომავალი დამრიგებელი „სენტ-გალენის“ ყოფილი თავკაცი როჟე ჰეჟი გახდებაო.

● **მადრიდის** „ატლეტიკოს“ მეპატრონეებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მათ გადაიფიქრეს ბრაზილიელი [illegible] გაყიდვა და მის ნაცვლად „ნოტინგემის“ ჰოლანდიელი ფორვარდის პიერ ვან ჰოიდონკის შეძენა.

● **„ლივერპულის“** მწვრთნელს ჟერარ ულიეს თვალში მოუვიდა მიუნხენის „ბაიერნის“ 33 წლის მცველი თომას ჰელმერი, მაგრამ მისი სატრანსფერო თანხა — მილიონი გირვანქა სტერლინგი ერთობ დიდი ეჩვენებათ. კლუბების წარმომადგენლები შობამდე შეხვდებიან ერთმანეთს და შეეცდებიან საბოლოოდ მოილაპარაკონ ფეხბურთელის თაობაზე. იტყობინებიან აგრეთვე, რომ „ლივერპულს“ სურს შეიძინოს კამერუნელი რიგობერტ სონგო და უკრაინელი ალექსანდრ გოლოვკოც.

გასულ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნებში გაიმართა საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტური:

● **გერმანიაში** პირველი წრე უკვე დასრულდა: „ბაიერნი“ — 18 მატჩიდან 44 ქულა, „ბაიერი“ — 36, „კაიზერსლაუტერნი“ — 34.

● **ინგლისში** XVIII ტურის შემდეგ ლიდერობენ: „ჩელსი“ — 18 თამაშიდან 33 ქულა, „ასტონ ვილა“ — 17-დან 33, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 18-დან 31.

● **საფრანგეთში** XX ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „მარსელი“ — 47 ქულა, „ბორდო“ — 44, „ლიონი“ — 32.

● **იტალიაში** ჩატარდა XIV ტურის შეხვედრები. ლიდერობენ: „ფიორენტინა“ — 29 ქულა, „პარმა“ — 26, „მილანი“ — 25.

● **ესპანეთში** XV ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: „მალიორკა“ — 29 ქულა, „სელტა“ — 25, „ვალენსია“ — 25.

● **რუსეთის** საფეხბურთო კავშირის აღმასკომმა ქვეყნის ნაკრების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლა მისი მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი. ვარაუდობენ, რომ ამ პოსტს დაიკავებს მოსკოვის „სპარტაკის“ თავკაცი ოლეგ რომანცევი.



● **იტალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლაციომ“ „უდინეზე“ დაამარცხა 3-1. მესამე გოლი გაიტანა ჩილელმა მარსელო სალასმა (სურათზე).

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბოიკოტით იმუქრებიან

აზიის ოლიმპიური კომიტეტისა და ქუვეითის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შეიხმა ახმედ ალ-ფახად ალ-საბაჰმა აზიის ქვეყნებს მოუწოდა ბოიკოტი გამოუცხადონ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებს, რომელიც სამხრეთ კორეასა და იაპონიაში უნდა გაიმართოს, თუკი აზიის ქვეყნების წარმომადგენლობა ამ შეჯიბრებაში არ გაიზრდება.

ამ რეგიონის ნაკრებებისათვის ფიფამ გამოჰყო სულ 4 საგზური, აქედან ორი უკვე გარანტირებული აქვთ ჩემპიონატის მომწყობ ორგანიზატორებს — სამხრეთ კორეასა და იაპონიას. რაღა რჩება?

ალ საბაჰი აპირებს მოელაპარაკოს აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ ჰაჯი ახმედ შახს ამ ბოიკოტის განხორციელების შესახებ. კონფლიქტის მოსაგვარებლად თებერვალში გაემგზავრება ფიფას სპეციალური დელეგაცია პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის ხელმძღვანელობით.

### ვეტერანებს არ ივიწყებს

გერმანიის „ბუნდესტრენერი“ ერიხ რიბეკი შემდეგშიც აპირებს ნაკრებში ორი ვეტერანის ლოთარ მათეუსისა და ენდი მიოლერის მიწვევას. პირველის წინააღმდეგ მისი ასაკი მეტყველებს, თუმცა ამას მწვრთნელი ყურადღებას არ აქცევს. რაც შეეხება მიოლერს, მის წინააღმდეგ წამოყენებული პრეტენზიები სულ სხვა ხასიათისა იყო. მიოლერი, ბრწყინვალე ტექნიკისა და დიდი სისწრაფის მქონე მოთამაშე, ყოველთვის აღიზიანებდა გულშემატკივრებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი მხდალი სტილით, ორთაბრძოლებისათვის თავის არიდებით. ეს განსაკუთრებით ჩანდა ისეთ გუნდში, როგორიც გერმანიის ნაკრებია, სადაც თავის დაზოგვა სამარცხვინოდ ითვლება.

### გრემ სუნესი ძალიან კმაყოფილია

„ბენფიკას“ ახლანდელი შოტლანდიელი მწვრთნელი გრემ სუნესი ძალიან კმაყოფილია კიეველ მცველ ოლეგ ლუჟნის მიწვევით, რომელთანაც სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაფორმდა. საინტერესოა, რომ უკრაინელის გადაბირება „ტოტენჰემ ჰოტსპურს“, „ვესტ ჰემ იუნაიტედსა“ და „არსენალსაც“ უნდოდათ.

— მას მრავალი ღირსება აქვს, — განაცხადა სუნესმა, — ძლიერია, სწრაფი და ძალიან გამოცდილი, მთავარი კი ის არის, რომ „კეტავს“ არა მარტო თავის ზონას, არამედ, საერთოდ, მთელ მარჯვენა ფრთას.

ამ ბოლო თვის მანძილზე ლისაბონის „ბენფიკამ“ უკვე მეორე ოსტატი შეიძინა. პირველი იყო უელსელი თავდამსხმელი დინ სონდერსი, ეროვნული ნაკრების წევრი.

### იარცევი რჩება

დიდი ხნის მითქმა-მოთქმა მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელის თაობაზე ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა. თვით კლუბის ზოგიერთი ხელმძღვანელიც კი არ მალავდა, რომ უფროსი მწვრთნელი გიორგი იარცევი „მეტისმეტად სპარტაკელად“ მიაჩნდა და მის შემცვლელს ეძებდა. ამ ბოლო ხანებში მოლაპარაკება იყო ანატოლ ბაიდაჩნისთან (რომელიც სოჭის „ჟემჩუჟინაში“ დარჩა), ბორის იგნატიევთან, იყო ლაპარაკი ანატოლი ბიშოვეცზეც.

— ეს სულ ტყუილუბრალო ლაპარაკი იყო, — განაცხადა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლაი ტოლსტიხმა, — მწვრთნელის საკითხი კარგა ხანია გადაწყდა. „დინამოს“ კვლავინდებურად გიორგი იარცევი უხელმძღვანელებს, მით უმეტს, რომ მან კლუბი უმაღლეს ლიგაში დატოვა.

ახლა „დინამო“ უკვე გადასარჩენად კი აღარ იბრძოლებს, არამედ მის წინაშე დგას სრულიად კონკრეტული ამოცანა — რუსეთის ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვლა.

### ვერეტენიკოვი — „წლის ჯენტლმენი“

გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ ვოლგოგრადის „როტორის“ ფეხბურთელი ოლეგ ვერეტენიკოვი აღიარა „წლის ჯენტლმენად“. ადრე ეს ჯილდო მიენიჭათ ფედორ ჩერენკოვს, სერგეი ანდრეევს, ანდრეი ტიხონოვს. ამასთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა რესტორან „პეკინში“, სადაც რედაქციის მიერ ნაჩუქარ სმოკინგში გამოწყობილ ვერეტენიკოვს გადაეცა სათანადო დიპლომი.

აქვე ვოლგოგრადის გუბერნატორმა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის დავალებით „როტორის“ კაპიტანს გადასცა ორდენი „დრუჟბა ნაროდოვ“.

### დევიდ პლატის იღბლიანი დებიუტი

იღბლიანი დებიუტი ჰქონდა ინგლისელ სპეციალისტ დევიდ პლატს გენუის „სამპდორიაში“, რომელმაც კვირას ძნელი მატჩი „მილანთან“ ფრედ 2-2 დაასრულა.

32 წლის დევიდ პლატმა, მოთამაშის კარიერა ამ ზაფხულს დაამთავრა, შემდეგ კი ინგლისის ყმაწვილთა ნაკრებს (16 წლამდე) ხელმძღვანელობდა. „სამპდორიაში“ მან წარუმატებლად მომუშავე ლუჩანო სპალეტი შეცვალა.

ინგლისის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველ დევიდ პლატს გენუაში ძალიან კარგად იცნობენ. 1994 წელს, როცა იგი „სამპდორიაში“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, „სამპდორია“ ჯერ იტალიის თასს დაეუფლა, შემდეგ ქვეყნის სუპერთასსაც. ახლა გუნდს ძალიან უჭირს და მის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, ყოველ შემთხვევაში, პლატი გუნდს სერია „B“-ში გადასვლას მაინც ააცილებს.

### „მე არ ვიცი, ვინ არის მილუტინოვიჩი“

ცნობილმა მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა მექსიკის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „პრაქტიკულად შეუძლებელია როდესმე მექსიკის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. მაქსიმუმი, რაც მას შეუძლია გააკეთოს, ეს არის ექსტრაორდინარული ფეხბურთის ჩვენება ცალკეულ მატჩებში. ამაზე მეტს ნუ მოვთხოვთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი უმაღლესი მიღწევა მსოფლიო პირველობებზე შეიძლება იყოს მეექვსე ადგილი. იმიტომ კი არა, რომ მექსიკის ნაკრები სუსტი გუნდია, უბრალოდ, ხომ არიან უფრო ძლიერები: ბრაზილია, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია“.

მილუტინოვიჩის სიტყვებმა მექსიკის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელის, მანუელ ლაპუენტეს დაუყოვნებლივი რეაქცია გამოიწვია, რომელმაც განაცხადა, რომ იუგოსლაველის აზრი მას საერთოდ არ აინტერესებს და ისიც კი არ იცის, ვინ არის საერთოდ ეს მილუტინოვიჩი.

გავიხსენოთ, რომ სწორედ მილუტინოვიჩმა გაიყვანა მექსიკის ნაკრები მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ფინალში.

### ცვლილებები „ჩერნომორეცში“

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელთა გუნდში საგრძნობი ცვლილებებია. მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ბუტენკომ გამოაცხადა გუნდის შემადგენლობაში ახალი მოთამაშეების ჯგუფის მიღების შესახებ. ამავე დროს, მცველი ბესიკ ბერაძე და რუსანოვსკი გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში არიან.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# რობერტ იარნი — მცველი და... თავდამსხმელი...

ხორვატი რობერტ იარნი მადრიდის „რეალის“ შედარებით ახალი წევრია, მაგრამ „სამეფო კლუბში“ უკვე დიდ როლს ასრულებს.

იგი დაიბადა ქ. ჩაკოვეცში (ხორვატია). პირველად ყურადღება მიიქცია 1987 წელს ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 21 წლამდე ახალგაზრდებს შორის. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში, რომელშიც იუგოსლავიის ნაკრებმა გაიმარჯვა (მაშინ ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ერთიანი იყო, ხორვატიიდან თამაშობდნენ პროსინეჩკი, შუკერი, ბობანი და პავლიჩიჩი). გავიდა ცოტა ხანი და იგივე გუნდმა ევროპის ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა. ამის შემდეგ იარნი უკვე იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს, 1990 წელს იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატშიც ითამაშა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. იუგოსლაველები შვეციაში მაინც ვერ გაემგზავრნენ, რადგან



გაეროს მათ მიმართ პოლიტიკური სანქციები მიიღო და ფინალის ადგილი დანიელებს გადასცა, რომლებიც... ჩემპიონები გახდნენ!

იარნი ხორვატიის ნაკრების მოთამაშე გახდა. მონაწილეობდა ევროპის 1996 და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატებში. ინგლისში ხორვატები რვა უძლიერესის რიცხვში მოხვდნენ, წელს საფრანგეთში კი ნამდვილი ფურორი მოახდინეს და მესამე ადგილზე გავიდნენ.

იარნი (180 სმ, 77 კგ) ევროპაში და მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მარცხენა მცველად ითვლება. ამავე დროს იგი ძალიან სახიფათო... შემტევი მოთამაშეა. ძალიან ხშირად ასრულებს შემტევი განაპირა ნახევარმცველისა და თავდამსხმელის ფუნქციასაც კი. შეგვიძლია გავიხსენოთ მისი ზუსტი დარტყმა გერმანელ კეპკეს კარში საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში, გნებავთ, ორი გოლი მადრიდის „რეალისა“ და გრაცის „შტურმის“ ამასწინანდელ მატჩში.

ხორვატი მცველი უკვე რამდენიმე ცნობილ კლუბში გამოდიოდა. თავის დროზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ აპირებდა დამკვრელი დუეტი შეექმნა თავდასხმაში, სადაც გამოვიდოდნენ განთქმული გოლეადორი, იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი დარკო პანჩევი და... რობერტ იარნი. შემდეგ სპლიტის „ჰაიდუკთან“ იტალიურ კლუბ „ბარიში“ გადავიდა. ამ კლუბს მაშინ ცნობილი პოლონელი სპეციალისტი ზბიგნევ ბონეკი ხელმძღვანელობდა, იარნის მხარდამხარ თამაშობდნენ მისი თანამემამულე ზვონიმირ ბობანი და ინგლისელი დევიდ პლატი. დღემდე ვერავის აუხსნია, როგორ შეძლო ასეთ გუნდს „სერია A“-ს დატოვება, მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა. 1992-93 წლების სეზონი, მეტი რაღა ჩარა იყო, იარნიმ „სერია B“-ში გაატარა, შემდეგ კი „ტორინოში“ გადავიდა. როცა „ტორინოსაც“ გამოეთხოვა, მაინც ამ ქალაქში დარჩა, ამჯერად უკვე სახელგანთქმულ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში. აქ იგი 1994-95 წლების სეზონში თამაშობდა. ხორვატმა დიდ წარმატებებს მიაღწია — იტალიის ჩემპიონიც გახდა, იტალიის თასის მფლობელიც, უეფას თასის ფინალისტიც. შემდგომი „ნავთსაყუდელი“ სევილიის „ბეტისი“ იყო. აქ იარნი უკვე გამორჩეული ლიდერი გახდა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ „ბეტისი“ ესპანეთის თასის ფინალში გავიდა. ანდალუზიის დედაქალაქმა კი უკვე ესპანეთის დედაქალაქში გააცილა.

როგორც გუს ჰიდინკი თვლის, იარნიმ დიდი როლი უნდა შეასრულოს „რეალის“ დაცვაშიც და... თავდასხმაშიც. თვით იარნის კი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში თამაშის გარდა სხვა მნიშვნელოვანი გეგმებიც აქვს. ეს გახლავთ ხორვატიის ნაკრებში თამაში ევროპის 2000 წლისა და მსოფლიოს 2002 წლების ჩემპიონატებში. ერთი სიტყვით, საჭიროა ორი საგზურის მოპოვება, შემდეგ კი ვნახოთ, ტრიუმფატორების თაობას ხორვატიის ნაკრებში ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა.

გივი თორელი

## ანგარიშს ათანაბრებს ...პრეზიდენტი ლუკაშენკო

მოსკოვში გაიმართა ამხანაგური მატჩი ჰოკეიში. რუსეთის ვარსკვლავების ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ წარსულში გამოჩენილი მოთამაშეები სტარშინოვი, კრუტოვი, ლებედევი, შალიმოვი, კუზკინი და სხვები, შეხვდა ბელორუსიის გუნდი, სადაც ითამაშა ქვეყნის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ (იგი პირველი ნომრით გამოდიოდა).

შაიბა თამაშში სიმბოლურად შეიყვანა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრ რაგულინმა. პირველი შაიბა ვიქტორ შალიმოვმა გაიტანა, მაგრამ პრეზიდენტმა ლუკაშენკომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

ვთქვათ ისიც, რომ ლუკაშენკო ბელორუსიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია.

## „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*20 დეკემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეთოთხმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**1. 12. 25. 30. 41. 42.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 1361.20 ლარი.
4 ციფრი – 22.70 ლარი.
3 ციფრი – 1.80 ლარი.

**„ჯეკ-პოტი“ 35 837 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **5. 9. 4. 9. 2. 9. 5.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 27 დეკემბერს, ჯეკ-პოტი **35 837** ლარი.
*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## რას ფიქრობს „მისტერ ეისი“?

გორან ივანიშევიჩი ძალზე არათანაბარი ჩოგბურთელია. ხან თითქმის ვარსკვლავებს წყვიტავს, ხან კი...

● ***თქვენ მისტერ ეისს გიწოდებენ. შეიძლება მისტერ „გამიშვლებული ნერვიც“ გიწოდონ. როგორ იხსნით მატჩის შემდეგ ფსიქოლოგიურ დატვირთვას?***

— ეს ჩემი საიდუმლოა.

● ***თქვენი სტილი ძალზე ინდივიდუალურია: ეისების რეკორდსმენი ხართ.***

— სამპრასიც დაახლოებით ასეთივე სტილით თამაშობს, აგრეთვე რუსედსკიც, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს. აი, ჩემს ეისებზე კი ყოველთვის ლაპარაკობენ. მე წელს დაახლოებით ათასი ეისი შევასრულე, თანაც სხვადასხვა საფარზე.

● ***როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— ხორვატიაში ცხოვრება! შეიძლება სკოლა გავხსნა. მინდა ბავშვები ვამეცადინო და ცხოვრებით დავტკბე.

● ***თქვენ ფეთქებადი ტემპერამენტისა ხართ. როგორ ახერხებთ თავის შეკავებას?***

— აკი ვერც ვახერხებ.

● ***ტურნირების ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე ხართ. ხან თმის კუდს იკეთებთ, ხან თმას მთლიანად იპარსავთ. რატომ იცვლით ასე ხშირად იმიჯს?***

— მაყურებლები შეეჩვივნენ კიდეც ამას. როცა მეკითხებიან: „კიდევ რას გააკეთებთ?“ რა ვიცი, შეიძლება თმა შევიღებო.

● ***როგორ უყურებთ იმ ამბავს, რომ ტურნირების ორგანიზატორები, რათა ჩოგბურთი უფრო სანახაობრივი გახადონ, სხვადასხვა ცვლილებებს შემოიღებენ ხოლმე: შეამცირეს დრო სეტებს შორის, მოთამაშეები კორტზე მუსიკით გამოდიან.***

— რა ვიცი. რატომ არ შეიძლება ჩოგანის დახეთქება? ეს ხომ გრძნობის გამოხატვაა. ჰოკეიში ჩხუბიც კი იმართება და ეს მაყურებლებს მოსწონთ. მე უკვე იმდენჯერ დამაჯარიმეს, რომ ატპ-ს ... სპონსორი გავხდი.



გორან ივანიშევიჩი



## გარდაიცვალა ანტონიო ორდონეზი

*ცნობილია, რომ ჰემინგუეის თავის მოთხრობაში „მზე კვლავ ამოდის“ ერთ-ერთ გმირად ხარებთან ბრძოლის ცნობილი ოსტატი ანტონიო ორდონეზი ჰყავს გამოყვანილი. იგი ჰემინგუეისა და ორსონ ველისის ახლო მეგობარი იყო. სახელგანთქმული ორდონეზი ამ დღეებში 66 წლისა გარდაიცვალა კიბოთი და კვირას, 20 დეკემბერს დაკრძალეს თავის მშობლიურ ქალაქ რონდაში (სამხრეთი ესპანეთი). ორდონეზი თავად იყო ტორეადორ ნინო დელა პალმას ვაჟი, ახლა ბაბუის კვალს გაჰყვა ორდონეზის შვილიშვილი ფრანცისკო რივერა, რომელიც ამჟამად 20 წლის ტორეადორია. სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, 1980 წელსაა გადაღებული მადრიდის გარეუბანში და კადრში ანტონიო ორდონეზის მორიგი წარმატებული ორთაბრძოლაა ასახული.*




**22 დეკემბერი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.50). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (15.05). ***RENTV.*** „სპორტკურიერი“ (21.45; 1.05). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგში (8.45). ამერიკული ფეხბურთი (9.30; 22.45). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი: „ჩარლტონი“ – „ასტონ ვილა“ (10.10). მატჩების მიმოხილვა (20.05; 1.10). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (12.00). სტენლის თასის რეტროსპექტივა (13.35). ფეხბურთი დარბაზში (16.25). მხატვრული ტანვარჯიში (19.10). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.15; 2.05). ***ESPN.*** ბილიარდი (3.00; 2.00). კალათბურთი (4.00). ჰოკეი (5.30). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (7.30). აზიური ფეხბურთი (9.30; 16.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 22.00). საფეხბურთო მიმოხილვა (17.30). ფიგურული ციგურაობა (20.00). ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.30). კრივი. (0.30). ***EUROSPORT.*** ზამთრის ოლიმპიადა ნაგანოში (13.30). ფეხბურთი (15.00; 18.00; 20.00; 2.00; 4.00). კრივი (1.00).

**23 დეკემბერი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. ТВ центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში“ (12.15). ავტო და მოტოსპორტი (2.20). ***RENTV.*** სპორტკურიერი (21.45; 0.35). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05), ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ამერიკული ფეხბურთი (10.40). სპორტული ცეკვა (14.30). მაგიდის ჩოგბურთი (16.25). კრივი (17.25). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (18.10). გოლფი (20.10). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.40). ***ESPN.*** ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (4.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (6.00). ფიგურული ციგურაობა (8.00; 20.00). ველოსპორტი (11.30). ჰოკეი (12.00; 14.50). სპორტული ცენტრი (16.00; 18.00; 22.00). მოტოსპორტი (22.30). კრივი (23.00). კარატე (0.30). ბილიარდი (1.30). ***EUROSPORT.*** ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები (13.30). ფეხბურთი (15.00; 18.00; 3.00). სუმო (20.00). კარტინგი (21.00). ავტოსპორტი (22.00). კრივი (1.00).

**24 დეკემბერი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ოლიმპიური პანორამა“ (12.25). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. ТВ центр.*** ცხენოსნობა (12.10). ***RENTV.*** „სპორტკურიერი“ (21.45; 0.35). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** გოლფი (8.45; 16.25). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15). ჰოკეი (10.45). სპორტული ცეკვა (14.30). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა (17.20; 22.15). ***ESPN.*** ჰოკეი (3.30). ფეხბურთი (6.40; 22.30; 23.30). მოტოსპორტი (9.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 18.00; 22.00). კალათბურთი (13.30; 16.30). ჰოლანდიის ფეხბურთი (11.30). ბილიარდი (1.30). ***EUROSPORT.*** ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა (13.30; 3.00). ფეხბურთი (15.00; 23.00). კარტინგი (16.00). სუმო (20.00). კრივი (1.00). ბოულინგი (2.00).

**25 დეკემბერი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.25). ***II არხი.*** რაგბი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). საქართველოს ხმა. სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.40). ***RENTV.*** „სპორტკურიერი“ (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეის გაკვეთილი (8.00; 15.45). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა (9.45). ფიგურული ციგურაობა (10.10). „ევროპის საფეხბურთო კვირა“ (12.10). სპორტული ცეკვა (16.10). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (18.40). კრივი (20.15). ჰოკეი (21.00). ***ESPN.*** ჰოკეი (3.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 18.00; 22.00). კალათბურთი (11.30; 13.30). ფეხბურთი (15.30; 23.00). კრივი (23.30). რაგბი (0.00). კარატე (2.30). ***EUROSPORT.*** ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა (13.30). ფეხბურთი (15.00; 18.00). სუმო (20.00). მოტოსპორტი (23.00; 0.00). ექსტრემალური სპორტი (4.30).

**26 დეკემბერი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (19.45). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. RENTV.*** სპორტული მიმოხილვა (20.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (21.35). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.35; 16.10). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (10.50; 23.55). ჰოკეი (13.35). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (16.25). ამერიკული ფეხბურთი (18.30). სპორტული ცეკვა (19.15). ცხენოსნობა (20.10). ჭადრაკი (21.10). ***ESPN.*** კრივი (3.00). რაგბი (6.30). ცხენოსნობა (7.00; 16.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 16.00; 22.00). ჰოკეი (14.20). ფეხბურთი (15.00; 15.30; 17.00; 23.00). ბილიარდი (18.00). კარატე (2.30). ***EUROSPORT.*** ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა (13.30; 14.30; 15.30). მოტოსპორტი (17.00; 23.00). სუმო (20.00). კარტინგი (23.30). კრივი (1.00).

**27 დეკემბერი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერმატჩი“ (20.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (15.30). „ვარსკვლავები“ (17.50). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** „კვირის სპორტი“ (17.00). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (0.30). ***RENTV.*** „სპორტი“ (16.05). ინგლისის პრემიერლიგის საფეხბურთო მატჩი (16.30). ***ACT.*** „სპორტი“ (21.35). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი (10.55; 19.15). სპორტული ცეკვა (14.00). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (16.15). საჭადრაკო მიმოხილვა (18.30). ბილიარდი (23.35). ***ESPN.*** ფეხბურთი (3.00; 6.00; 7.00; 17.00; 20.00; 22.30; 0.30). კალათბურთი (4.00; 9.00; 13.30; 15.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 22.00). მოტოსპორტი (11.00). რაგბი (16.30). ბილიარდი (18.00). კარატე (2.30). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 15.30; 16.00; 21.00). სუმო (16.45). ცხენოსნობა (17.45). სპორტული ცეკვა (20.00). სათხილამურო კროსი (21.45). კრივი (1.00). ბოულინგი (2.00). ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები (3.00).

**საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს რაგბში თემურ ბენდიაშვილს დედის**

**ნინო მელია-ბენდიაშვილის გარდაცვალების გამო.**

## გამოიწერეთ გაზეთი ცისკარი

*ხელმოწერა შეიძლება თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:*

● მოსკოვის გამზ. 18. ტელ: 71-32.87 ● გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62-75-32. ● დავით გურამიშვილის გამზ. 30. ტელ: 60-80-22. ივანე ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ. 14. ტელ: 95-87-36. ● ქეთევან წამებულის (ყოფ. შაუმიანის) გამზ. 61. ტელ. 74-24-47. ● აკაკი წერეთლის გამზ. 73. ტელ: 34-75-51. ● რევაზ თაბუკაშვილის ქ.12. ● ჭავჭავაძის გამზ. 46. ტელ: 22-64-58. ● ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ. 42. ტელ: 37-47-49. 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნეს“ წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

1


2


3



4



## ფოტოკროსვორდი

თქვენს წინაშეა ოთხი ფეხბურთელი, რომლებიც სულ ახლო წარსულში ერთ გუნდში — ინგლისის „ლიდს იუნაიტედში“ გამოდიოდნენ. გამოიცანით მათი ვინაობა

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
1. მფc2! – 2. კc3X.
1. ...მd5 2. მc6X. 1. ...ეd7 2. ე:e6X.
1. ...მe4 2. f4X. 1. ...მf5 2. მg4X.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 2. მელაშვილი, 4. ხორდი, 5. „ბრანი“, 6. კირიაკოვი, 7. შეყილაძე, 11. ემერიხი, 13. „ბოლონია“, 15. „ფორვერტსი“, 16. შიონი, 17. ბლიცი, 20. სტარტი, 22. ილიადი, 25. ოლისე, 28. ზამერი, 29. იგუიტა, 30. ტაიმი, 31. ასოშვილი, 32. ელოშვილი. შვეულად: 1. ეშერა, 2. მაროკო, 3. იტალია, 6. კარერასი, 8. ელკიაერი, 9. ორბუ, 10. ბოლი, 12. იშტოიანი, 13. ბეისბოლი, 14. ზეედორფი, 18 იარნი, 19. სავოი, 20. „სალამანკა“, 21. ტუნისი, 23. ლებეფი, 24. „იუვენტუსი“, 26. გრაფი, 27. ლემიე.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე